# საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 136-137 (157) | შაბათი, 13 ივლისი, 1991 წელი. | ფასი 15 კაპიკი



## შეხვედრა უმაღლეს დონეზე

[illegible]



## აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ხელშეკრულება

ისწრაფვიან რა თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, აცხადებენ რა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უზენაესობას, რაც საუკუნეთა მანძილზე აკავშირებს აზერბაიჯანელ და ქართველ ხალხებს, ამჟღავნებენ რა მტკიცე ნებას ააგონ ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, აზერბაიჯანისა და საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელები შეთანხმდნენ:

1. აზერბაიჯანი და საქართველო ცნობენ სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ამ ხელშეკრულების სუბიექტთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

2. აზერბაიჯანი და საქართველო ვალდებულებას კისრულობენ ყველა წამოჭრილი, უთანხმოება და სადავო საკითხი გადაწყვიტონ მხოლოდ და მხოლოდ უშუალო კონსულტაციების და მოლაპარაკებათა გზით, იბრძოლონ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებისათვის.

3. აზერბაიჯანი და საქართველო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად აცხადებენ დიპლომატიური მისიების გაცვლის შესახებ, შემდგომში სათანადო დაწესებულებათა გახსნით.

4. აზერბაიჯანი და საქართველო აცხადებენ ერთმანეთთან სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ყველაზე უფრო ხელსაყრელ რეჟიმს.

5. რესპუბლიკებს განზრახული აქვთ ყოველნაირად განავითარონ და გააღრმაონ კავშირები მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში.

6. ხელშეკრულება ძალაში შედის თითოეული მხარის კანონმდებლობის შესაბამისად რატიფიკაციის შემდეგ.

7. ხელშეკრულება შედგენილია აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე და თანაბარი ძალა აქვთ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია**

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი
**აიაზ მუთალიბოვი**

თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი.

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ი. ზ. ბარათაშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** იოსებ ზურაბის ძე ბარათაშვილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატის ადგილობრივი მმართველობის ბიუროს უფროსად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 9 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### რ. გ. სირაძის თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** რევაზ გიორგის ძე სირაძე თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### ლ. გ. მანაგაძის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ლავრენტი გრიგოლის ძე მანაგაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### გ. ვ. რამიშვილის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ზურაბ ვალერიანის ძე რამიშვილი ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი.

## ქრონიკა

**საქართველოს** რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით არჩილ ვლადიმერის ძე ასათიანი გათავისუფლებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

**საქართველოს** რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით იოსებ ზურაბის ძე ბარათაშვილი გათავისუფლდა ბოლნისის რაიონის პრეფექტის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქინფორმი.

## გასწორება

[illegible]

---

## ბატონი ზვიად გამსახურდია მოსკოვში

**9 ივლისს** საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად მოსკოვს ეწვია პრეზიდენტ ბორის ელცინის მიწვევით რუსეთის რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საზეიმო ყრილობაზე დასასწრებად. პრეზიდენტს თან ახლდნენ ბატონები გურამ აბსანძე, გიორგი ხოშტარია, დილარ ხაბულიანი, არჩილ ჭირაქაძე, სიმონ ხელაშვილი, ზურაბ წერეთელი.

ვნუკოვოს აეროპორტში საპატიო სტუმარს დახვდნენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი კოვალიოვი, რუსეთის მინისტრი მიხეილ პოლტორანინი, რუსეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი.

რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საზეიმო ყრილობაზე მიწვეული იყვნენ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების და სამოკავშირეო ხელშეკრულების უარმყოფელი სუვერენული რესპუბლიკების ხელმძღვანელები.

10 ივლისს 11 საათზე ყრილობა მუშაობას შეუდგა. იგი გახსნა რუსეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რუსლან ხასბულატოვმა.

სიტყვები წარმოთქვეს სახალხო დეპუტატმა ოლეგ ბასილაშვილმა, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ.

ბატონმა ბორის ელცინმა დადო პრეზიდენტის ფიცი და წარმოთქვა საპროგრამო სიტყვა.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა.

საზეიმო ყრილობას ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად. ყრილობას ესწრებოდნენ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გურამ აბსანძე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის პრესის სამსახურის ხელმძღვანელი არჩილ ჭირაქაძე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ წერეთელი, მოსკოვში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი კახა ლომაია. საზეიმო სხდომის შემდეგ მიწვეულ საპატიო სტუმრებს შეხვდა ბორის ელცინი.

საღამოს საქართველოს პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები დაესწრნენ კრემლის ყრილობათა სასახლეში გამართულ საზეიმო კონცერტს.

კონცერტის შემდეგ მეგობრული შეხვედრის ფარგლებში ბორის ელცინსა და ზვიად გამსახურდიას შორის გაიმართა საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების, საქართველოს და რუსეთის სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულების მომზადების თაობაზე.

10 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და მისი თანმხლები პირები თბილისს დაბრუნდნენ.

დედაქალაქის აეროპორტში მათ დახვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, უზენაესი საბჭოს მუდმივ კომისიათა თავმჯდომარეები, უზენაესი საბჭოსა და საქართველოს მთავრობის წევრები, სხვა ოფიციალური პირები.

---

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა

**10 ივლისს** გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა და არჩევნების მეორე ტური 35 ოლქში.

ამომრჩეველთა სიებში შეიტანეს 201.043 კაცი. ხმის მიცემაში მონაწილეობდა 112.906 კაცი — 56,2 პროცენტი. ყველა საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩატარებულად ცნეს. სულ არჩეულია 34 დეპუტატი.

№ 29 ხელვაჩაურის რაიონის № 3 კახაბერის საარჩევნო ოლქის უბანში საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით არჩევნები ბათილად ჩაითვალა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევების გამო. ამ ოლქში დეპუტატი არ აურჩევიათ. № 3 უბანში გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა.

წინასწარი შედეგებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის მანდატები (10 ივლისის განმეორებითი კენჭისყრისა და არჩევნების მეორე ტურის შედეგების მიხედვით) ასე განაწილდა:

1 ბლოკი „აჭარა" — 3 დეპუტატი.

2. „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია — 8 დეპუტატი.

3. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია — 4 დეპუტატი.

4. ბლოკი „ეკონომიკური აღორძინება" — 2 დეპუტატი.

5. სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია — 5 დეპუტატი.

6. სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის (ავლაბრელები) ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონული ორგანიზაციები — 1 დეპუტატი.

7. დამოუკიდებელი კანდიდატები — 11 დეპუტატი.

23 ივნისისა და 10 ივლისის კენჭისყრის შესაბამისად, წინასწარი შედეგების მიხედვით, დეპუტატის მანდატები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ასე განაწილდა.

ბლოკი „აჭარა" — 11 დეპუტატი.

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია — 32 დეპუტატი.

საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის აჭარის საოლქო ორგანიზაცია — 11 დეპუტატი.

ბლოკი „ეკონომიკური აღორძინება" — 4 დეპუტატი.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია — 5 დეპუტატი.

სრულიად საქართველოს მშვიდობისა და თავისუფლების პარტიის (ავლაბრელები) ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონული ორგანიზაციები — 3 დეპუტატი.

დამოუკიდებელი კანდიდატები — 13 დეპუტატი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სია გამოქვეყნდება.

საქინფორმი.

---

## შეხვედრა ინტელიგენციასთან

[illegible] ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების და სახელმწიფო წყობილების მნიშვნელოვანი საკითხები, მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი. საზოგადოების თხოვნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის, თბილისის ექსპერტ იურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ლ. ალექსიძის შეხვედრა ინსტიტუტის თანამშრომლებთან და ქალაქის ინტელიგენციასთან. [illegible] ყვეტილებანი შესაბამება აფხაზეთის ხალხების ინტერესებს და ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციის ფაქტორი უნდა გახდეს. მან დიდად შეაფასა სოხუმელ და თბილისელ ექსპერტ იურისტია, დეპუ- [illegible] უზენაესი საბჭოს დეპუტატებს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვთ იმ პრობლემათა გადასაჭრელად, რომლებიც რესპუბლიკის საზოგადოებრიობას აწუხებს.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა ლ. ალექსიძემ ილაპარაკა ახლანდელი სიტუაციის ზოგიერთ [illegible] ექსიძემ უპასუხეს დამსწრეთა კითხვებს.

შეხვედრაში მონაწილეობდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. კოლბაია.

**თენგიზ ჯიბუტი,**
საქინფორმის კორ.

---

## განიხილავენ შავი ზღვის პრობლემებს

**დღეს,** 13 ივლისს ქ. ბათუმში მუშაობას იწყებს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებს ეძღვნება. კონფერენცია საქართველოს მწვანეებმა მოიწვიეს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხელშეწყობით.

კონფერენცია მიზნად ისახავს შავიზღვისპირა სახელმწიფოთა და ევროპის სხვა ქვეყნების მწვანეთა და გარემოს დამცველი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას, რათა მაქსიმალურად გამახვილდეს მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღება შავი ზღვის ეკოლოგიურ პრობლემებზე; სახელმწიფოების ხელისუფლებათა დონეზე დაიწყოს მუშაობა შესაბამისი პროექტებისა და ხელშეკრულებების შემუშავებისათვის, ამ ქვეყნებში შავი ზღვის ეკოლოგიური კანონმდებლობის მიღებისა და განხორციელების ხელშეწყობისათვის.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ბულგარელი, თურქი, რუმინელი, უკრაინელი და ესტონელი სტუმრები.

საქინფორმი.

## შავი ზღვის პრობლემებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს

**ქართველი** ხალხი, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება უკიდურესად შეშფოთებული არიან შავ ზღვაზე შექმნილი უმძიმესი ეკოლოგიური ვითარებით. წყლის გაჭუჭყიანება კომუნალური და სამრეწველო ნარჩენებით, სანაპირო ზოლის გადარეცხვა, ზღვის ეკოსისტემების განადგურება, უჟანგბადო გოგირდწყალბადოვანი ფენის მატება ნამდვილად საგანგაშო ხდება. ჩვენ ყველანი, შავიზღვისპირა სახელმწიფოები და ხალხები დღეს რეალურად აღმოვჩნდით იმ საშიშროების წინაშე, რომ დავკარგოთ ჩვენი საერთო ზღვა, როგორც უნიკალური ცოცხალი სისტემა.

დღევანდელ მძიმე ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ჩვენს რეგიონში უპირველად პასუხისმგებელნი არიან ის ტოტალიტარული რეჟიმები, რომლებიც ახლო წარსულში ბატონობდნენ თითქმის ყველა შავიზღვისპირა სახელმწიფოში. ამის თვალსაჩინო ნიმუშად, თუნდაც, საქართველო გამოდგება, სადაც კომუნისტურმა მომხმარებლურმა მიდგომამ საარსებო გარემოსადმი, ბუნებრივი რესურსების უმოწყალო და ბარბაროსულმა ექსპლოატაციამ საყოველთაო ეკოლოგიურ კრიზისამდე მიგვიყვანა.

რაში ვხედავთ ჩვენ გამოსავალს? უწინარესად ფართომასშტაბიან საერთაშორისო თანამშრომლობაში, თითოეული ჩვენგანის ძალებისა და შესაძლებლობების გაერთიანებაში. ფაქტია, რომ ვერც ერთი ცალკე აღებული სახელმწიფო ვერ შეძლებს მარტო შეებრძოლოს ამ პრობლემას. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, რომ არა მხოლოდ შავიზღვისპირა, არამედ დუნაისპირა ქვეყნებმაც იკისრონ პასუხისმგებლობა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ჩაერთონ საერთაშორისო პროგრამების განხორციელებაში.

ჩვენ მეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ კონტაქტების განვითარებას ამ მიმართულებით არა მხოლოდ სამთავრობო, არამედ არასამთავრობო დონეზეც, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობას თანამშრომლობის პროგრამების ჩამოყალიბებასა და რეალიზაციაში. სწორედ ამიტომ მივესალმებით ბათუმის შეხვედრის მონაწილეებს და იმედს გამოვთქვამთ, რომ ისინი თავიანთ წვლილს შეიტანენ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციაში, კონკრეტული სამოქმედო გეგმების დასახვაში.

საქართველო სამომავლოდაც მზად არის უმასპინძლოს ნებისმიერი დონის საერთაშორისო შეხვედრას, რომლის მიზანი იქნება შავი ზღვის პრობლემების მოგვარება, საფუძველს ჩაუყრის კონკრეტული ინიციატივების განხორციელებას.

მივესალმებით შავი ზღვის, როგორც მშვიდობისა და თანამშრომლობის, ეკოლოგიური უსაფრთხოების ზონის იდეას!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
**ზვიად გამსახურდია.**

თბილისი. 1991 წლის 12 ივლისი.

---

## წერილი გერმანიიდან

**საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გერმანიიდან მიიღო ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და სამართალდამცავის კლაუს გიობელის ბარათი. გთავაზობთ მის შინაარსს.**

„დორტმუნდი, 5 ივლისი, 1991 წელი. დიდად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო! გულითადად გილოცავთ პრეზიდენტად არჩევას და გისურვებთ გაატაროთ მშვიდობიანი პოლიტიკა და ემსახუროთ ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ნება მიბოძეთ გავიხსენო ის პირქუში, ავბედითი წარსული, რათა თვალნათლივ გამოჩნდეს, თუ რა დიდი წარმატება იხეიმეთ.

1977 წელს თქვენ მიეკუთვნებოდით იმ პიროვნებათა რიცხვს, რომელთა ბედ-იღბალი ჩვენ — „ამნესტი-ინტერნეიშნლ"-ის ვუპერტალის ჯგუფს განსაკუთრებით გვაღელვებდა. მაშინ მე დამევალა მომემართა თქვენთვის ბარათით, რათა სამეცნიერო მოხსენების წასაკითხად მიგვეწვიეთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (წერილის ასლს თან ვურთავ). სამწუხაროდ, მაშინ ვერაფერი შევიტყვეთ თქვენგან, სავარაუდოა, რომ იმ წერილს თქვენამდე არც მოუღწევია. სამგიეროდ, იმჟამინდელი კომუნისტური ხელისუფალნი გვარიანად შეაფუცხუნა იმ ფაქტმა, რომ ევროპაში იყვნენ მეცნიერები, რომლებსაც თქვენი ბედი აწუხებდათ. ამიტომ საბჭოთა ორგანოები იძულებული იყვნენ მეტი წინდახედულება გამოეჩინათ. ძალზე მიხარია, რომ სსრ კავშირში, და კერძოდ საქართველოში, მიმდინარეობს დემოკრატიული პროცესები. იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენ არ დაუშვებთ ადამიანთა უფლებების შელახვას, მოქალაქეთა იმგვარ შევიწროებას, როგორის მსხვერპლიც თავად ბრძანდებით. ღრმა პატივისცემით, გულწრფელად თქვენი ერთგული კლაუს გიობელი".

აი, იმ წერილის შინაარსიც, რომელზეც ლაპარაკობს ბატონი კლაუს გიობელი თავის ბარათში:

„ვუპერტალი, 15 დეკემბერი, 1977 წელი.

დიდად პატივცემულო ბატონო გამსახურდია!

გამიგია, რომ თქვენ ქართული სფეროს არქიტექტურის თვალსაჩინო მცოდნე ბრძანდებით. შეიძლება ვიქონიოთ იმედი, რომ თქვენ ძეგლთა დაცვის საქმეში თქვენი მოღვაწეობის შესახებ გვეწვევით აქ, გერმანიაში ლექციების წასაკითხად? რა საბუთებია ამისათვის საჭირო და რა უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ თქვენ გვეწვიოთ მოხსენების წასაკითხად და ჩვენი მხარის დასათვალიერებლად?

თქვენგან პასუხის მოლოდინში ვშთები მეგობრული სურვილებით თქვენი კლაუს გიობელი".

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მეცნიერი და სამართალდამცავი თავის ვარაუდში არ შემცდარა და ხსენებულმა წერილმა მხოლოდ ახლა მიაღწია ადრესატამდე.

საქინფორმი.

## ინტერვიუ

# სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი ერის სამსახურში

**რა როლს ასრულებს მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებასა და სამეცნიერო პოტენციალის რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებისათვის გამოყენებაში? ამ შეკითხვით დაიწყო საქინფორმის კორესპონდენტის საუბარი საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრთან პროფესორ ირაკლი ჟორდანიასთან.**

— რესპუბლიკაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ამოცანებს უმთავრესად განსაზღვრავს დღევანდელი ურთულესი მომენტი ჩვენი ერის ისტორიაში — ერთის მხრივ, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მეორეს მხრივ, — საბჭოთა კავშირის უმწვავესი ეკონომიკური და საფინანსო კრიზისი, რომელიც მთელი ძალით ზემოქმედებს საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაზე.

ამ კრიზისიდან გამოსვლისათვის კი სასწაულებს ვერ დაველოდებით. უახლესი ტექნოლოგიის საფუძველზე უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი ბუნებრივი რესურსების, შრომითი და საწარმოო პოტენციალის მაღალეფექტიანი გამოყენება. ეს კი მოითხოვს ეკონომიკის სასიცოცხლო მოთხოვნებზე დაფუძნებული ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის მთელი სამეცნიერო ძალების მიზანსწრაფულ კოორდინირებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ცხადია, სამეცნიერო პოტენციალის მართვის დრომოჭმულ ადმინისტრაციულ მეთოდებზე უარი უნდა ვთქვათ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი მხოლოდ მეწარმეებზე არ არის მინდობილი, იგი სახელმწიფო მმართველობისა და რეგულირების ერთ-ერთი უპირველესი ობიექტია. კერძოდ, მეცნიერებისა და ტექნიკის ან მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტრო 1990 წლის მონაცემებით არის მსოფლიოს 24 ქვეყანაში, მათ შორის თანამედროვე მსოფლიოს ისეთ ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად განვითარებულ სახელმწიფოებში, როგორებიცაა ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, კანადა, იაპონია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ავსტრალია და სხვ. მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ფუნქციონირებს სსრ კავშირში. დანარჩენ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებს განაგებენ სხვადასხვა დასახელების სამთავრობო ორგანოები, რომელთა ხელმძღვანელები არიან კაბინეტის წევრები (დიდი ბრიტანეთი, იტალია, დანია, ესპანეთი, ნიდერლანდები, რუმინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ბულგარეთი, ტაილანდი და სხვა), ხოლო ზოგ შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის მოადგილეებიც (ბელგია, პოლონეთი, სსრ კავშირი).

აშშ მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებს განაგებს პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დარგში, ამასთან პრეზიდენტის აპარატში არის სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო [illegible], ხოლო კონგრესთან ფუნქციონირებენ კონგრესის კვლევითი სამსახური და ტექნოლოგიათა შეფასების სამმართველო.

მსოფლიოს ეკონომიკურად და ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების ამგვარი გამოცდილების შესაბამისად შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტრო. მისი საქმიანობის უმთავრესი მიმართულებაა სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბება და პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის კომპლექსური გამოყენების და განვითარების სტიმულირება, მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთობის საიმედო მექანიზმების შემუშავება, საერთაშორისო გამოცდილების მიზანდასახული მოზიდვა.

**— თქვენი სამინისტროს ფუნქციები ხომ არ ქმნის გარკვეულ პარალელიზმს მეცნიერებათა აკადემიასთან?**

— მეცნიერებათა აკადემია არის ფუნდამენტური მეცნიერების მთავარი შტაბი და არა სახელმწიფოებრივ-მმართველობითი სტრუქტურა. ისიც უნდა ითქვას, რომ მეცნიერებათა აკადემია არ მოიცავს რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალის დიდ ნაწილს — უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერებას, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და, რაც მთავარია, დარგობრივი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ორგანიზაციების ფართო ქსელს.

ამ რთული, მრავალპროფილიანი სისტემის კოორდინაცია სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განსახორციელებლად ეკისრება ჩვენს სამინისტროს — როგორც დარგთაშორის ორგანოს, რომელიც თანდათან აძლიერებს ეფექტიან კონტაქტებს როგორც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან, ისე სხვა სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან.

**— სახელმწიფო ზემოქმედების რომელი ეფექტიანი ფორმების გამოყენების საფუძველზე შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა?**

— ამ მიზნით აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების სტრატეგიის შემუშავება როგორც უახლესი პერიოდისათვის, ისე მომავალი პერსპექტივისათვის. სტრატეგიულ ამოცანებს საფუძვლად დაედება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგების გრძელვადიანი კომპლექსური პროგნოზი. იგი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულებანი, ასევე დასავლეთის მოწინავე ქვეყნების პრაქტიკის შესაბამისად შევადგინოთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამები, რომელთა დაფინანსებასა და სუბსიდირებას სახელმწიფო განახორციელებს. ამასთან, ჩვენი დღევანდელი მწვავე [illegible]

[illegible]

**ებას, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროზე ზემოქმედებას საბაზრო ურთიერთობათა პირობებში წინანდელისაგან განსხვავებული სახე ექნება?**

— დასავლეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტექნოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის ყველაზე სასურველ გარემოს სწორედ ბაზარი და კონკურენცია ქმნიან. ცხადია, ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების დაფინანსებაზე სახელმწიფო უარს ვერ იტყვის და არც იტყვის, მაგრამ ამავე დროს იქ, სადაც ეს შესაძლებელი და აუცილებელია, კვლევის ეფექტიანობის ამაღლებისა და სტიმულირებისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში საჭიროა საბაზრო ურთიერთობის ელემენტების შემოტანა. სხვანაირად უზარმაზარი საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების მხოლოდ დოტაციაზე შენახვა, მაშინ, როცა ვერ ხერხდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დაფინანსება. თუ 1988 წელს ე. წ. რესპუბლიკური დაქვემდებარების მეცნიერების დაფინანსებამ 86 მილიონი მანეთი შეადგინა, 1992 წლისათვის ამ წრის ორგანიზაციებს 166 მილიონი მანეთი დასჭირდებათ. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული,

[illegible] ზე განლაგებული სამეცნიერო-კვლევითი და დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ", რომელსაც ერთ თვეში წარვუდგენთ მას. ამავე დროს მოვამზადეთ და დაინტერესებულ უწყებებთან ვათანხმებთ მთავრობის გადაწყვეტილების პროექტს რესპუბლიკური საინოვაციო ფონდის ჩამოყალიბების შესახებ. იგი საწარმოთა და ორგანიზაციათა შენატანების, თვით ფონდის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისაგან მიღებული შემოსავლების და სხვა შემოსულობათა ხარჯზე განახორციელებს სპეციალიზებულ საკრედიტო-კომერციულ საქმიანობას სამეცნიერო-ტექნიკური და ახალი ტექნოლოგიის დანერგვის სფეროში და შესაძლებლობას მოგვცემს განვახორციელოთ ბევრი რეალურად ღირებული და საჭირო პროექტი.

**— საბაზრო ურთიერთობებზე საუბარი, ალბათ, საკუთრების პრობლემებთან პირდაპირ არის დაკავშირებული.**

— დიახ, ასეა. ამ ეტაპზე უპირველესი ამოცანაა მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის ჩამოყალიბება და შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავება. ეს სისტემა მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებს შექმნის საგამომგონებლო საქმიანობის განვითარებისათვის, უზრუნველყოფს რესპუბლიკისა [illegible]

[illegible] ნების ტვირთები საქართველოს ტერიტორიის გავლით საზღვაო გზით — ევროპაში.

სამინისტრო თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნევს თანამედროვე ზეახალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას.

ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს გარკვეული წანამძღვრები (მაღალხარისხოვანი მადანი, სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალი) ზესუფთა დარიშხანისა და გალიუმის არსენიდის მონოკრისტალური მიღების, მათ ბაზაზე თანამედროვე ელექტრონულ ნაკეთობათა შექმნის ჩაკეტილი საწარმოო-ტექნოლოგიური ციკლის ფორმირებისათვის.

ამ მიმართულებით მიღწეულია გარკვეული შედეგებიც, მაგრამ მაინც საგრძნობლად ჩამოვრჩებით თანამედროვე მოთხოვნებს. ხოლო ამ ჩამორჩენის დაძლევისა და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების რეალურ გზას უცხოეთის მოწინავე ფირმებთან მჭიდრო თანამშრომლობა, ერთობლივი საწარმოების შექმნა წარმოადგენს.

დღევანდელ მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული მემბრანული ტექნოლოგია, რაც გაპირობებულია პროდუქციის თავდაპირველი მაჩვენებლების შენარჩუნებით, ენერგოდანახარჯების შემცირებით, დანადგარების სიმარტივითა და კომპაქტურობით, პროცესების ავტომატიზაციით. [illegible]

[illegible] რესურსების ადგილობრივი ნედლეულით შეცვლას. კერძოდ, ჩვენი ხელშეწყობით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი „საქკვებტარასთან" ერთად ამუშავებს მინის ტარის წარმოების ახალ ტექნოლოგიას ძირითადად ადგილობრივი ქვიშების, დოლომიტის, ტრაქიტებისა და ნეფელინშემცველი ქანების გამოყენებით. ასევე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისათვის წელიწადში 500 ათას ტონამდე რესპუბლიკის გარედან შემოსაზიდი კვარცის ნაცვლად ადგილობრივი კვარცის ქვიშების გამოყენების საკითხის ტექნოლოგიური ასპექტები.

ხორციელდება ღონისძიებანი რესპუბლიკაში საფანჯრე მინის, კალცინირებული სოდის, კალციუმის კარბიდის, შემკვრელი მასალების წარმოების ორგანიზაციის ტექნოლოგიური და ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად.

შემუშავებულია ახალი ნივთიერებების, კონსტრუქციული და ფუნქციონალური მასალების შექმნის და დანერგვის რესპუბლიკური პროგრამა. მასში საკონკურსო პირობების გათვალისწინებით შერჩეულია საუკეთესო პერსპექტიული ნამუშევრები და იგი ითვალისწინებს ახალი ფუნქციონალური თვისებების მქონე ლითონური, კერამიკული, პოლიმერული, კომპოზიციური მასალების, ფხვნილების მეტალურგიის, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შექმნას რესურსდამზოგავი, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე და ამ მასალების გამოყენებას პრაქტიკაში.

იმ დროს, როცა ჩვენთან სურსათით თვითუზრუნველყოფის საკითხი მთელი სიმწვავით დგას, ჩრდილოეთის ქვეყანა — დანია, რომლის მოსახლეობა 5,5 მილიონი კაცია, ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენებით ყოველწლიურად აწარმოებს 25 მილიონი კაცის გამოსაკვებად საკმარის პროდუქციას. ამ დარგში სამინისტროს მუშაობის სტრატეგიული ამოცანაა რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის კონცენტრაცია ახალი პროგრესული ტექნოლოგიების — ბიოტექნოლოგიური მეთოდების, მემბრანული პროცესების, სხვადასხვა არატრადიციული მაღალეფექტური საშუალებების დამუშავების და პრაქტიკაში გამოყენების მიზნით.

ამჟამად სამინისტროში ვამზადებთ წინადადებებს რესპუბლიკის რელიეფისა და სამეურნეო ტრადიციების გათვალისწინებით მცირე მექანიზაციის და სამთო მიწათმოქმედების ეფექტიან საშუალებათა კომპლექტის წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს მდიდარი ფლორისა და ფაუნის, ბუნებრივი რესურსების ეკონომიკურად ხელსაყრელი ათვისების მიზნით შემუშავებული გვაქვს პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საკურორტო რეგიონების, განსაკუთრებით კი, შავიზღვისპირეთის საკურორტო რესურსების ყოველმხრივ შესწავლას, ასევე ახალი მინერალური და წყაროს წყლების სამრეწველო ჩამოსხმის მეცნიერულად დასაბუთებას.

**— ტექნოლოგიურმა განვითარებამ ხომ დიდი ზიანი მიაყენა ეკოსისტემას საერთოდ და მათ შორის საქართველოსაც...**

— სამწუხაროდ, ეს ასეა და ამ ფაქტს ვერსად გაექცევი. ამ არასასურველი ტენდენციის აღმოფხვრისათვის სამინისტროში მომზადებულია წინადადებანი მთავრობის გადაწყვეტილების მისაღებად საწარმოო-ტექნიკური განვითარებისა და სხვა პროექტების კომპლექსური ექსპერტიზის ორგანიზაციის შესახებ სისტემური ანალიზის უახლესი მეთოდების გამოყენების საფუძველზე. ამგვარი ექსპერტიზა ზემოხსენებული ტრანსკონტინენტალური მაგისტრალის კონცეფციამაც გაიარა.

კომპლექსური ექსპერტიზის ცენტრში, რა თქმა უნდა, პროექტების ტექნოლოგიური ნაწილის ყოველმხრივი შეფასება იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს მათი განხორციელებისას გამოვრიცხოთ ეკოლოგიური, დემოგრაფიული თუ სხვა სახის დეფორმაციები და ამავე დროს შევარჩიოთ ნამდვილად პროგრესული მაღალეფექტიანი თანამედროვე ტექნოლოგიები. ამგვარი საკითხების გადაწყვეტისას ჩვენი სამინისტრო, როგორც დარგთაშორისი ფუნქციური ორგანო, ცხადია, რომ უწყებებთან შედარებით ყველაზე ობიექტური იქნება.

**— ჩვენი ტექნოლოგიური განვითარება მსოფლიო პროცესების გათვალისწინების გარეშე ხომ წარმოუდგენელია...**

— მსოფლიო სამეურნეო კავშირებში ჩართვის გარეშე ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტა ძალზე გაძნელდება. მთავარი ამოცანაა მოვახდინოთ საზღვარგარეთთან მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სწორი კოორდინაცია, საიმპორტო და საექსპორტო ტექნოლოგიაზე ან ტექნიკაზე მაღალკვალიფიციური ექსპერტიზის ჩატარება, დახმარების გაწევა ახალი ტექნოლოგიის შესყიდვაში ან რეალიზაციაში.

სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში საერთაშორისო კავშირების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა თანამშრომლობა განვითარებული ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან. ამგვარი კავშირები უკვე დამყარებული გვაქვს დანიასა და ისრაელთან. დანიელებთან კონტაქტების დამყარებაში ხელი შეგვიწყო ევროპარლამენტში აღმოსავლეთ ქვეყნების განვითარების კოორდინატორმა, მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული დანიური ფირმის პრეზიდენტმა ბატონმა ქრისტიან როვსინგმა. ამ კონტაქტების შედეგად შეიქმნა ევროპარლამენტის ეგიდით განსახორციელებელ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, ამ დღეებში ევროპარლამენტის სხდომაზე მსჯელობის საგანი იყო საქართველოსათვის ეკონომიკური და ფინანსური დახმარების საკითხი.

ხელშეკრულება და კომუნიკე თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილია ისრაელის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროსთან. კერძოდ, გათვალისწინებულია მეცნიერული და ტექნოლოგიური ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, ერთობლივი კვლევების წარმოება, მეცნიერთა გაცვლა, გამოფენების მოწყობა და სხვა. ამ საკითხების კოორდინაციისათვის შეიქმნება საქართველო-ისრაელის ერთობლივი საბჭო.

გარდა სამთავრობო ორგანოებთან კონტაქტებისა, უშუალოდ ბიზნესმენებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური და კომერციული გამოფენების ცენტრს განზრახული აქვს მიმდინარე წლის დამლევსა და 1992 წლის დამდეგს მოაწყოს გამოფენა: „საქართველოს ერთობლივი საწარმოები" და ორი გამოფენა-ბაზრობა: „ექსპორტი: პროდუქცია, მომსახურება, შესაძლებლობები და პერსპექტივები" და „გამოგონებანი — პროგრესის საფუძველი".

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის ერთ-ერთ ძირითად სფეროდ უნდა მივიჩნიოთ სალიცენზიო ვაჭრობის განვითარება. დღეისათვის მსოფლიოში მოქმედებს 200 ათასი სალიცენზიო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მზადდება 500 მილიარდი დოლარის პროდუქცია. ჩვენ კი ამ საქმეში ჯერჯერობით აუტსაიდერები ვართ. ამიტომ ამ მხრივ საქმიანობის გააქტიურება პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ზემოხსენებული საინოვაციო ფონდის შექმნამ.

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული ვერ ამოწურავს ჩვენი სამინისტროს მრავალწახნაგოვან საქმიანობას, გადასაჭრელ პრობლემებსა და მიმართულებებს, რომელთაგან თითოეული მომავალში ცალკე საუბრის თემა შეიძლება იყოს.

## ხიდი

# საქმიანი კონტაქტები ამერიკელ იურისტებთან

**ამერიკის** შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა ქართველ იურისტთა ჯგუფი, რომელიც ტეხასის შტატის იურისტთა გაერთიანების მიწვევით და დაფინანსებით ქალაქ ჰიუსტონში მონაწილეობდა იურისტთა ყოველწლიურ შეკრებასა და საგანგებო სემინარში თემაზე: „კანონმა უნდა მართოს და არა ადამიანმა".

ტეხასის შტატის იურისტთა ასოციაცია აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი (51.000), მძლავრი და ავტორიტეტული გაერთიანებაა. სხვათა შორის, მისი წევრია აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი.

ქართველ იურისტთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს იურისტთა დამოუკიდებელი კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე, მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი თამაზ შავგულიძე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი გივი ინწკირველი, საფუძვლიანად გაეცნო ამ ქვეყნის სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემას, ამერიკელი კოლეგების საქმიანობას, მათი მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების თავისებურებებს. მასპინძლებმა ყოველმხრივ მოიწადინეს, რომ დელეგაციის წევრები დამატებით შეხვედროდნენ ოსტინის, დალასის, ფორტ-უორთის, სან-ანტონიოს, პალესტინის, კორპუს კრისტის და ამარილოს მოსახლეობას, იურიდიული და სხვა დაწესებულებების, საპარლამენტო, ოფიციალური და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ჰქონოდათ მათთან საუბრები ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებზე, გამოსულიყვნენ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დელეგაციის წევრთა გამოსვლებმა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამართალშემოქმედებით საქმიანობაზე, აგრეთვე სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ფედერალიზმის პრობლემებზე.

მიღწეულია შეთანხმება ტეხასის შტატის იურისტთა გაერთიანებასა და საქართველოს იურისტთა დამოუკიდებელ კავშირს შორის მომავალი თანამშრომლობის თაობაზე.

დაბრუნებისთანავე დელეგაციის წევრებმა თავიანთ ამერიკელ კოლეგებს გულთბილი მილოცვა გაუგზავნეს ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით.

საქინფორმი

# გზები მყარი გახდება

**გზის** ვაკისი მყარი იქნება და უფრო იაფი დაჯდება, თუ მისი გაყვანისას გამოიყენებენ „მრეწვმშენპროექტის" მეცნიერთა და რუსთავის სამშენებლო ლაბორატორიის თანამშრომელთა ნამუშევარს. მისი არსი ის არის, რომ გარკვეული პროპორციით შერეული ბრძმედისა და მარტენის წიდები, თბოელექტროცენტრალის [illegible] ფხვნილი რამდენიმე ხნის შემდეგ ქმნის მონოლითს. ასეთი მასალისაგან დამზადებული გზის საფუძველი დიდ დატვირთვას უძლებს და ქვიშა-ღორღისაზე უფრო იაფი ჯდება. თანაც ეს მეთოდი წარმოების ნარჩენის უტილიზაციის, ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

საქინფორმი.

## ბირჟა

# რაიმეს ყიდვა გნებავთ?

— **საქონელი** სადაა? — ერთგვარი იმედგაცრუებითა და გაკვირვებით ჩაილაპარაკა ხანშიშესულმა ქალმა, როცა თვალი მოავლო საქართველოს საერთაშორისო გამოფენების ეროვნული ცენტრის მეხუთე პავილიონის ვრცელ დარბაზს.

ამ კითხვას, თუმცა უჩუმრად, გულში სვამდა საქართველოს დედაქალაქში 10 ივლისს თბილისის უნივერსალური ბირჟის მიერ მოწყობილი პირველი საბირჟო საჯარო ვაჭრობის ბევრი სტუმარი. მაგრამ, ჯერჯერობით, აქ მოსულები თავს რაღაც მყუდროდ ვერ გრძნობდნენ ისეთ ცნებებთან შეხებისას, როგორიცაა ბირჟა, კონკურენცია, კომერცია. თითოეულმა ჩვენგანმა ინტუიციით იგრძნო, რომ საბირჟო ვაჭრობები სულ სხვა რამ არის, ვიდრე, ვთქვათ, ჩვეულებრივი საკოლმეურნეო ბაზარი. ელეგანტურად გამოწყობილი ახალგაზრდების ხელში თავიდან ბოლომდე დაწერილი ფურცლები შრიალებდა. ისინი თავაზიანად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, ადვილად ძლევდნენ ყოველგვარ ენობრივ ბარიერს, ლაპარაკობდნენ ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და კიდევ... ვინ იცის, რა ენებზე.

ჩვენ კი, საქმეში ჩაუხედავებს ერთი კითხვა გვაწუხებდა — „საქონელი სად არის?".

კიდევ ერთი შტრიხი. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, რეალურად შექმნილი საქმიანი სამყაროს წარმომადგენელთა ახალგაზრდობის მიუხედავად, ყველაფერი მეტად სოლიდურად გამოიყურებოდა და, უნდა ვაღიაროთ, საოცრად რესპექტაბელურადაც. ალბათ, ასეა ხოლმე, როცა ადამიანთა ხელშია ნამდვილი საქმე და არა ახლო წარსულის რომელიღაც შიშველი [illegible] მოხსენება — [illegible]. დიახ, ადამიანს, როგორც ჩანს, რწმენას მატებს ყოველივე იმის სარგებლიანობის შეგრძნება, რასაც იგი აკეთებს.

სხვათა შორის საჯარო ვაჭრობაზე ჩამოვიდნენ... ოჰ, წავიბორძიკეთ, რადგან გვინდოდა გვეთქვა... საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მაგრამ გაგვახსენდა, რომ სწორედ იმის მეოხებით, იგი უკვე ფაქტობრივად აღარ არსებობს. თბილისის უნივერსალურმა ბირჟამ დააინტერესა თავისი პირველი ღონისძიებით რუსეთის, უკრაინის ბევრი რეგიონის, ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიის რესპუბლიკების საქმიანი წრეები... და საჭირო არა ყოფილა ცენტრის არავითარი მეცადინეობა, რათა მათ წარმომადგენლებს ერთმანეთთან დაემყარებინათ საქმიანი კონტაქტები, რომლებიც სახავენ ნამდვილი, სასარგებლო და თანასწორუფლებიანი ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებს. აქ ჩამოვიდნენ სოლიდური, ხელგაშლილი სტუმრები.

— ჩვენ ბევრი რამ შეგვიძლია შევთავაზოთ დღევანდელ საჯარო ვაჭრობას, — თქვა პერმის საბროკერო ფირმის წარმომადგენელმა ოლეგ ბრიუხანოვმა. — განაცხადში შევიტანეთ ბენზინის, ტუმბოების, სხვა საქონლის დიდი პარტიები.

— რაიმეს ყიდვა გნებავთ?

— რა თქმა უნდა. იმედი მაქვს მოვეურიგდებით ღვინო-არყის მომწოდებლებს. საერთოდ კი, გვაინტერესებს ყოველი ხელსაყრელი წინადადება.

— ჩვენ კი პარკეტის დასამზადებელი ტექნოლოგიური ხაზის შეძენა გვინდოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი განაცხადებში არ არის, — გვითხრა საბროკერო ფირმა „ალიანსის" ხელმძღვანელმა გოჩა ხუხუნეიშვილმა.— ჩვენი მხრივ ვთავაზობთ დღეიბულ კატალოგს. რას ვფიქრობ დღევანდელ საჯარო ვაჭრობაზე? ეს ამგვარი პირველი ღონისძიებაა და, რა თქმა უნდა, დღეს ძირითადად ერთმანეთს გავიცნობთ. იმისათვის, რომ რომელიმე ფირმასთან თანამშრომლობა მოვაგვაროთ, მისი არსებობა მაინც უნდა ვიცოდეთ...




რა თქმა უნდა, ამ ჩვენთვის უჩვეულო ღონისძიებაზე ყველაზე მეტად ღელავდა თბილისის უნივერსალური ბირჟის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი მაისაშვილი. მაღალი, უნაკლოდ ჩაცმული გიორგი მივიდა მიკროფონთან, რათა გაეძღოლოდა საჯარო ვაჭრობის გახსნის ცერემონიას. გაგვახსენდა მისი ცხარე გამოსვლა ერთ-ერთ მაღალ ინსტანციაში, როცა მან ღირსეულად დაიცვა ბირჟის დაარსების იდეა.

დადგა საზეიმო წუთი. გიორგი მაისაშვილმა ლენტი გაჭრა.

საჯარო ვაჭრობა დაიწყო...

და მაშინვე გამწვავდა ვნებათა ღელვა, განუწყვეტლივ რეკავდნენ ტელეფონის აპარატები. ბროკერები აზუსტებდნენ ფასებს, ითხოვდნენ ამა თუ იმ გარიგების დადების, საქონლის პარტიის შეძენის ნებართვას. საერთოდ კი, საბირჟო საჯარო ვაჭრობის მთლიანად აღწერა ამაო საქმეა. ამაზე სრული წარმოდგენა შეიძლება შეგექმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავად დაესწრები საჯარო ვაჭრობას, რომელიც ამიერიდან რეგულარულად გაიმართება თბილისში.

მხოლოდ წინასწარი საჯარო ვაჭრობის შედეგებს შევეხებით, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩვენი რესპუბლიკის საშინაო ბაზართან და მაშასადამე, ამა თუ იმ საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან. 10 ივლისს სხვადასხვა ფირმებთან დადებულ გარიგებათა მეოხებით უახლოეს მომავალში რესპუბლიკაში შემოვა 15 მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი.

გზა დაგვილოცნია, თბილისის უნივერსალური ბირჟისათვის!

**თენგიზ ნიკოლაიშვილი,**
**მერაბ მანჯგალაძე,**
საქინფორმის კორ.

## გამოხმაურება

# რამ-და აღგვაშფოთოს?

ამ წერილს ცხელ გულზე ვწერ. ვეღარ დაველოდე, იქნებ სხვა ვინმემ იწამოს მწერთი და ხმა დასძრას-მეთქი. დრო არ იცდის. სანამ მივდგებ-მოვდგებით და გადავწყვეტთ, ვთქვათ, რაც სათქმელია, თუ პირზე უსაფრთხოების საიმედო ჩაფხუტი ჩამოვიფაროთ, ვაითუ საქმე გაგვიფუჭდეს და ვაი-ვიში და თავში ცემა, ეს რა დაგვმართნიათ, გვიანღა იქნეს. ამიტომ ნურავინ გაიკვირვებს, თუ ამჯერადაც უტარო კოვზით ვვარდები ცხელ ფაფაში.

წუხელ ტელევიზორს ვუჯექი და მოვუსმინე დებატებს, ბოლო დროს ხელისუფლების წარმომადგენლისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ხელმძღვანელების მონაწილეობით რომ იმართება. დებატებს, როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე, აქვთ თავიანთი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებზე შეჩერებასაც მე დღეს არ ვაპირებ, თუმცა საკითხი მეტად სერიოზულია და უაღრესად ღრმა განსჯა-განხილვას საჭიროებს.

სათვალავით ეს მესამე გადაცემა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორთან, ბატონ გოჩა ჩოგოვაძესთან შეხვედრას მიეძღვნა. რექტორი თავის სიტყვაში უნივერსიტეტთან, კერძოდ, წლევანდელ მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ მრავალ საჭირბოროტო პრობლემას შეეხო. შეეხო იმასაც, თუ როგორი იქნება მომავალში ჩვენი ტექნიკური უნივერსიტეტი, დედამიწის ერთ მეექვსედზე, ბრესტიდან კამჩატკამდე, ერთი მუჭა ქართველი ახალგაზრდობის, ჩვენი ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის ახალ-ახალი თაობების გაზრდის და მშობელი მიწისაგან დროებით თუ სამუდამოდ მოწყვეტის იმპერიული მექანიზმი, რომელმაც ამიერიდან, როგორც რექტორმა ჩვენდა სასიხარულოდ ბრძანა, მხოლოდ ეროვნული, მხოლოდ საქართველოს აღმშენებლობისათვის საჭირო კადრები უნდა მოამზადოს.

სავსებით ბუნებრივად მიმაჩნია რექტორატის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად შეამციროს მისაღებ აბიტურიენტთა კონტინგენტი, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს სტუდენტთა აკადემიური ჯგუფები 10-15 კაცისაგან დააკომპლექტოს და ამით სწავლების გაუმჯობესების ერთ-ერთი უტყუარი პირობა შექმნას.

რამდენი ახალგაზრდა სპეციალისტი დაამთავრებს ყოველ წელს ტექნიკურ უნივერსიტეტს და სად განაწილდება თითოეული მათგანი, ვის და რას მოახმარს უნივერსიტეტის კედლებში მიღებულ ცოდნას, დამეთანხმებით, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია და მისი ჯეროვანი გადაჭრა უშუალოდ უკავშირდება ხვალინდელი საქართველოს ბედის სწორად წარმართვას.

შემეძლო კიდევ გამომეყო რამდენიმე პრობლემა, რომლებიც საზოგადოების წინაშე ბატონმა რექტორმა დააყენა და კმაყოფილებაც გამომეთქვა, თუ კი საქმე მართლაც ისე წარიმართება, როგორც მან აღგვითქვა, ჩემი განცვიფრება და, პირდაპირ ვიტყვი, გულისწყრომა არ გამოეწვია ერთ კატეგორიულ განცხადებას, რის გარშემოც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ მაყურებლებს აუწყა რექტორატის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ განზრახულია, უნივერსიტეტში, ქართული და რუსული სექტორების გვერდით, ინგლისური ჯგუფების დაკომპლექტება, სადაც ქართველ სტუდენტებს, თავის მშობელ მიწაზე, მშობელი ხალხის წიაღში კვალიფიციური შრომისათვის რომ ემზადებიან, ყველა სასწავლო დისციპლინა ინგლისურ ენაზე წაეკითხებათ.

რექტორს მიაჩნია, რომ ეს ამბავი სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნდა მოხდეს. თუ ინგლისურად ისწავლიან და შესაბამის ინგლისურ წყაროებს დედანში ძირფესვიანად გაეცნობიან, ქართველი ახალგაზრდები საერთაშორისო კლასის საუკეთესო სპეციალისტები გამოვლენ.

მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს, პატივს ვცემ მის გულწრფელ მოწადინებას, მართლაც როგორმე გააუმჯობესოს სწავლებისა და სწავლის ხარისხი, რათა უნივერსიტეტი მხოლოდ ზედმიწევნით კვალიფიციურ სპეციალისტებს უშვებდეს, მაგრამ ნუთუ ამისათვის აუცილებელია, დედა უარვყოთ და დედინაცვლის ხატზე ვილოცოთ? ვინ აუკრძალა ქართველ ახალგაზრდებს, ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, და მათ მასწავლებლებს ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური, ესპანური, თუნდაც ჰოლანდიური, შვედური და ფინური ენის შესწავლა და ცოდნა? ამ ენებზე მოლაპარაკე ყველა ერს ხომ თავისი საკუთარი ეროვნული მეცნიერება აქვს, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ეროვნულ ენებზე ასწავლიან? ვინა თქვა, რომ თანამედროვე ტექნიკურ მეცნიერებათა რთული მექანიზმის შესასწავლად ფრანგული მოიკოჭლებს და თუ უნდათ, სრულფასოვანი ინჟინრები გამოზარდონ, საფრანგეთის ტექნიკურ სასწავლებლებში გერმანულენოვანი სწავლება უნდა შემოიღონ? რას იტყვიან იტალიელები, მათს ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებში, მიზეზთა და მიზეზთა გამო, რექტორატის ნება-სურვილით, სწავლება ესპანურ ენაზე რომ შემოიღონ?

რა ხდება, მეგობრებო, რამ მიგვიყვანა ამ უკუღმართ დასკვნამდე, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ეროვნული მეცნიერების აყვავებისა და შემდგომი აღმავლობის პრინციპებს?

ნუთუ ქართულად სწავლება, ქართული ენაა დამნაშავე იმაში, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა პროექტითა და უშუალო ხელმძღვანელობით აშენებული ხიდები და შენობები სამარცხვინოდ ინგრევა, ხოლო ძვირფასი ტუფითა და იკლარის ქვით მოპირკეთებულ და ასევე ძვირად ღირებული უცხოური დანადგარებით აღჭურვილ ჰიდროელექტროსადგურს მხოლოდ მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადასასვლელად ვიყენებთ, რადგანაც თავის პირდაპირ და უშუალო დანიშნულებას იგი გაჩენის პირველსავე დღიდან ვერ ასრულებს? ვითომ დამნაშავე აქ ქართული ენაა, მტერ-მოყვარე ნიკო მარის სიტყვით „თავისი ბუნებით მსოფლიო ენა, რომლითაც რაგინდარა გამოითქმის"?

ვერა, მიუხედავად მისდამი ჩემი პირადი პატივისცემისა, მომკალით და ვერ დავეთანხმები ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს ბატონ გოჩა ჩოგოვაძეს, რომელსაც თავში მეტად უცნაური, მე ვიტყოდი, ღვთის გამარისხებელი იდეა მოსვლია, რექტორატს კი, როგორც საბჭოური სუბორდინაციის წესია, პირში წყალი ჩაუგუბებია და შეფის სიტყვა, რაკი ის შეფის სიტყვაა, ბაჯაღლო ოქროდ მიუჩნევია!

ეს რომ ასე არ იყოს, ბატონი გოჩა ჩოგოვაძე ტელევიზორის ეკრანზე არ გამოვიდოდა და ქართველ საზოგადოებას მისი თავლაფის დასხმის ამბავს ასე არხეინად, ყოველგვარი ფიქრისა და დაეჭვების გარეშე არ აუწყებდა.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ეს თვითნებური გადაწყვეტილება სხვა უმაღლესმა სასწავლებლებმაც რომ გადაიღონ და სავალდებულოდ გაიხადონ. ვგრძნობთ და ვუწევთ თუ არა ანგარიშს იმას, რომ ეს მტრის გულის გამახარებელი შეთქმულება იქნებოდა მრავალდარგოვანი ქართული მეცნიერების ხელთუქმნელი ტაძრის დასანგრევად, მეცნიერებისა, რომელიც ქართულენოვანია, ქართულენოვანია ისევე, როგორც რუსულენოვანია რუსული მეცნიერება, ინგლისურენოვანი ინგლისური მეცნიერება, ფინურენოვანი — ფინური და ა. შ.

გავიხსენოთ დიდი ივანე ჯავახიშვილი, ქართული უნივერსიტეტის შემქმნელი, და ღვაწლმოსილი ქურუმები, მოძღვართ მოძღვარს გვერდში რომ უდგნენ და ქართული მეცნიერების იმ დიდებულ შენობას, მავანნი და მავანნი დღეს ძალაყინს რომ უღერებენ დასანგრევად, მკვიდრ საფუძველს უყრიდნენ.

სად იყო მაშინ ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია, ურომლისოდაც მეცნიერული, ცნებითი აზროვნება ყოვლად წარმოუდგენელია? არსად! არ არსებობდა ბუნებაში. დიდმა ივანემ და მის მხარში ამომდგარმა მისებრ დიდმა მამულიშვილმა მეცნიერებმა, ქვეყნის ოთხივე კუთხიდ რომ შემოიკრიბნენ, თავს იდეს თითქმის დაუძლეველი სიძნელის დაძლევა: მათ უახლოეს წლების განმავლობაში, კვალში ჩამდგარი მოწაფეების დახმარებით, შექმნეს მეცნიერებათა დარგობრივი ტერმინოლოგიები და თუმცა თავად უცხოურ უნივერსიტეტებში იყვნენ აღზრდილი და უჭირდათ მშობლიურ ენაზე მეტყველება, ლექციების კითხვას იმთავითვე ქართულად შეუდგნენ.

დიდი იყო პატრიოტული აღტკინება დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს დაარსებულ ეროვნულ უნივერსიტეტში, დიდი იყო იმედები, იმავე წლის 26 მაისმა რომ დაბადა და პირადი გაჭირვება, თავზე საყრელი რომ ჰქონდათ, ვისღა ახსოვდა! ისინი, მშობლიური უნივერსიტეტის დამაარსებლები, თავისუფალი საქართველოს ეროვნულ მეცნიერებას აშენებდნენ, საფუძვლად იაკობ ცურტაველისა და იოანე საბანისძის, შოთა რუსთაველისა და იოანე პეტრიწის ენა რომ ედო!

მაშინ ვინ გაბედავდა მკრეხელურ ფიქრს, თავში ვის მოუვიდოდა, მოდი, მომავალ ინჟინრებს ინგლისურად ვასწავლოთ, რადგანაც განვითარებული ტექნიკის დარგში ქართული ენა უტრადიციოა, ჩვენ კი, სწრაფად და იაფად, პირველხარისხოვანი ინჟინრები გვჭირდებაო!

დღეს რაღა გვემართება, ძმანო და შვილებო? ასეთი რა ისწავლეს ტექნიკური უნივერსიტეტის მესვეურებმა, რომ თავისი „ბუნებით მსოფლიო ენა" — ქართული, „რომელზედაც რაგინდარა გამოითქმის", მხოლოდ ანეგდოტების მოსაყოლად და სამზარეულოში სახმარად ემეტებათ?

მეტყველება არ უნდა, დიდი ევროპული ენები, მათ შორის ინგლისური, ჩვენს ტექნიკურ უნივერსიტეტში სხვათაგან რომ გამოურჩევიათ, დიდნი სწორედ თავიანთი ამოუწურავი ლექსიკური ფონდით, ნეოლოგიზმების შეთვისების უნარით, გრამატიკული ფორმების დახვეწილობითა და მოქნილობით, თითქმის ყოვლისმომცველობით არიან. არც ისაა დასამალავი, რომ ენათა მსოფლიო შერკინებაში თუ აღლუმში ათას ჭირგადანახად ქართულ ენას ბევრი რამ მომავალში აქვს მისაღწევი, მაგრამ ნუთუ ეს იმის მომასწავებელია, რომ ყოველწამიერ შემოქმედებით შრომაზე ხელი ავიღოთ, იარაღი მტრის გულის გასახარად დავყაროთ და რომელიმე მდიდარ ნათესავს სამადლოდ მივიკედლოთ?

მეცნიერებისა და ტექნიკის მსოფლიო მონაპოვართა დაუფლება სწორედ რომ საშური და გადაუდებელი საქმეა. ამიტომაა, რომ ყოველ ცივილიზებულ ქვეყანაში თითქმის ყველა სპეციალისტი, რა დარგისაც არ უნდა იყოს, გარდა თავისი მშობლიური ენისა, კიდევ რამდენიმე ევროპულ ენას ფლობს. ტვინი უნდა გაანძრიონ ჩვენმა ახალგაზრდებმაც, მაღალ თანამდებობრივ პოსტებზე აღლაბულად მოხვედრის ფუჭ ოცნებას მოეშვან და უცხო ენებს, შემდეგ რომ დასჭირდებათ, მანამ დაეუფლონ, სანამ ასაკი და სოციალური მდგომარეობა ამის საშუალებას აძლევთ. ენის შესწავლას, ისევე როგორც სიყვარულს, „სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყრმე და მოცალეობა" სჭირდება! თუ უცხო ენას თავის დროზე დავეუფლებით და ძვირფას, განუმეორებელ დროს უქმად არ დავკარგავთ, მაშინ აღარ გახდება საჭირო ტვინის ქურდები, რა ქნან საცოდავებმა, საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში წასულებმა ენა ისწავლონ თუ მეცნიერების სიახლეებს ეზიარონ.

ურიგო როდი იქნება, თუ იმ ხარჯებს, ტექნიკური უნივერსიტეტი ინგლისური ჯგუფების გასახსნელად რომ იმეტებს, უცხო ენების, მათ შორის ინგლისურის, სწავლების გასაუმჯობესებლად გამოიყენებს და სტუდენტობას ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებაში ხელს შეუწყობს.

შევეხები კიდევ ერთ საკითხს და ამით დავამთავრებ.

ხსენებულ ტელედებატებში ბატონი გოჩა ჩოგოვაძე შეეხო სასწავლო პროცესის თავისებურებებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. აღინიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის პარალელურად შესაძლოა შეიქმნას და უკვე იქმნება კიდეცა ამავე პროფილის სასწავლო კოოპერატივები, რომლებიც კონკურენციას გაუწევენ უკვე არსებულ ოფიციალურ სასწავლებლებს და იქნებ კიდევაც დასჯაბნონ ისინი, რადგანაც, რაკი კოოპერატივში ანუ კერძო სასწავლებელში სწავლება ფასიანი იქნება, კოოპერატორებს საშუალება მიეცემათ, გადაიბირონ პირველხარისხოვანი პროფესურა და იგი რამდენჯერმე მაღალი ხელფასით დააინტერესონ.

მე სრულებითაც არ გამიკვირდება, თუ საუკეთესო პროფესორები ჩვენ ზურგს გვიქცევენ, კოოპერატივთან შედარებით ჩვენ მათ ხომ მათხოვრულ გასამრჯელოს ვუხდით, ცოტნეებს აჰყვებიან, სარფიან გასამრჯელოს დაეხარბებიან და კოოპერატორებთან წავლენო, დასძინა ბოლოს რექტორმა და გაიღიმა ნიშნად იმისა, რომ ფულს დახარბებული პროფესორების საწინააღმდეგო მართლაც არაფერი ჰქონდა, რადგანაც მათი საქციელი გასაგები და სრულიად ბუნებრივია.

რაღა დაგიმალოთ, ეს რომ გავიგონე, გული ჩამწყდა. თბილისის ახალგახსნილი უნივერსიტეტის პირველი რექტორი პროფესორი პეტრე მელიქიშვილი გამახსენდა. მან ხომ უარი თქვა რექტორის კუთვნილ ჯამაგირზე, თუმცა ივანე ჯავახიშვილის მოწვევის თანახმად ოდესიდან ახალი ჩამობრძანებული იყო და მშობლიურ ქალაქში, სადაც ამიერიდან უნდა ეცხოვრა, წესიერი ღამის გასათევი ბინაც კი არ ჰქონდა, ყველა სხვა კომფორტზე სრულიად რომ არაფერი ვთქვათ. უჭირდა ერის შეწირულობების იმედად მყოფ უნივერსიტეტს, რომელსაც უსახსრობის გამო დახურვა ემუქრებოდა და მისი პირველი რექტორიც, საიმპერატორო აკადემიის ნამდვილი წევრი, იძულებული იყო, წლების განმავლობაში, სანამ უნივერსიტეტს სათავეში ედგა, თავისი ძნელზე უძნელესი სამუშაო სრულიად უსასყიდლოდ შეესრულებინა.

მისებრ ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და მცირედით კმაყოფილდებოდნენ უნივერსიტეტის სხვა დამაარსებლები და მისი პირველი პროფესორები: ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, ანდრია რაზმაძე, ივანე ბერიტაშვილი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, დიმიტრი უზნაძე, აკაკი შანიძე, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ვუკოლ ბერიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვები. ჩვენ ნეტა რა ახეთი სვავი ჩაგვისახლდა გულ-გვამში, რომ არაფერი გვაძღებს, ლამის ივანე კალიტასებრ ფულით სავსე ტომარად გადავიქცეთ!

მე რომ კაცმა მკითხოს, ვერ არის მოსაწონი, მკრეხელობაა, შეიძლება თანამოსაქმის, თანამებრძოლის, ამხანაგის სულმდაბლობა, მის მიერ წმიდათა-წმიდა მოვალეობაზე უარის თქმა და ჯიბის გასასქელებლად სადღაც გადაბარგება რომ არ გაგიკვირდება. მაშ, რაღა უნდა გაგვაკვირდეს, რაღამ უნდა აღგვაშფოთოს და შეგვძრას? ეკონომიკური დაინტერესების კანონი, მარქსიზმმა რომ კერპად აქცია, ნუთუ ასე უნივერსალურია, რომ მის გარეშე ქვეყნიერებაზე აღარა არის რა? განა მარტო პურითა ერთითაო, ასე არა სწერია ქრისტეს მოძღვრებაში?

ისეთი პროფესორი, მასწავლებელი, ბატონმა რექტორმა ასე ლოიალურად რომ ახსენა, კი არ უნდა გაუშვა იქ, საითაც გული მიუწევს, უნდა გააგდო, გააძევო, რადგანაც ასეთები და მათი მსგავსნი ცხოვრების გზაჯვარედინზე მდგომ ჩვენს ახალგაზრდობას ზნეობრივ მაგალითად, ივანე ჯავახიშვილისებრ უანგარო წინამძღოლად არასოდეს გამოსდგომიან და ვერც ვერასოდეს გამოადგებიან!

**რევაზ ჯაფარიძე**

9 ივლისი, 1991 წ.

## ადამიანები




# „მე ასე მწამს სამშობლოს ერთგულება"

[illegible]



## საკუთარ სახლში

### გავრილ პოპოვი — აფხაზეთში

**სოხუმში** ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის ცნობილი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, მოსკოვის მერი გავრილ პოპოვი.

აი რა გვიამბო ამ ვიზიტთან დაკავშირებით ბერძენთა საკავშირო ასოციაციის ეროვნული საბჭოს წევრმა, სოხუმის მკვიდრმა, პედაგოგმა ხარლამპი პოლიტიდისმა.

— ბევრმა არ იცის, რომ გავრილ პოპოვი ეროვნებით ბერძენია და კარგა ხანია თავმჯდომარეობს საბჭოთა კავშირის ბერძენი მოსახლეობის საკავშირო ასოციაცია „პონტოსის" ეროვნულ საბჭოს. წლეულს მარტში ბერძნების ყრილობამ პოპოვი ახალი ვადით აირჩია თავმჯდომარის პოსტზე. სწორედ ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩამოვიდა იგი აფხაზეთში, რათა გაცნობოდა ადგილობრივი ბერძნული დიასპორის ცხოვრებას, პრობლემებს. ჩამოვიდა მშობლიურ ქალაქ მარიუპოლიდან, სადაც ასეთივე მისიით იმყოფებოდა. საერთოდ საბჭოთა კავშირში, ვილნიუსიდან მაგადანამდე „პონტოსში" გაერთიანებული 48 საზოგადოება არსებობს. პოპოვის, როგორც ასოციაციის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, ფუნქციებში შედის პერიოდულად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში ბერძნული მოსახლეობის ცხოვრების პრობლემების გამოვლენა-შესწავლა და შემდეგ მათი დაყენება საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს წინაშე.

საქართველოში, სოხუმს გარდა „პონტოსის" საზოგადოებები ჩამოყალიბებულია თბილისში, რუსთავში, წალკაში, ბათუმსა და ქობულეთში. ბუნებრივია, პოპოვს დაგეგმილი აქვს ჩასვლა ამ რეგიონებშიც, მაგრამ ამჯერად მოუცლელობის გამო მარტო აფხაზეთით შემოიფარგლა. იგი ჩამოფრინდა კვირას, 7 ივლისის დილის რეისით და იმავე საღამოს გაფრინდა მოსკოვში. სოხუმს გარდა პოპოვი იყო და შეხვდა ძველი ქართული სოფლის ოდიშის ბერძნებს, რომლებიც აქ საუკუნეზე მეტია კომპაქტურად ცხოვრობენ. თუმცა გავრილ პოპოვის ეს ვიზიტი სოხუმში იყო სრულიად ოფიციალური, იგი არ შეხვედრია აფხაზეთის ასსრ ხელმძღვანელებს, რადგან არ იყო ამის საჭიროება. პრობლემები არ არის, აქაური ბერძნები მეგობრულად ცხოვრობენ აფხაზებთან, ქართველებთან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. ამიტომ, თუკი რაიმე პრობლემა არსებობს — იგი ყველასათვის საერთოა. აფხაზეთის ბერძნები აქტიურად მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის სამეურნეო, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ჰყავთ ორი დეპუტატი აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში.

ისიც უნდა ითქვას, რომ აქაური ბერძნების განწყობილებაზე უარყოფითად მოქმედებს ბოლო დროს აფხაზ და ქართველ მოსახლეობაში დაწყებული დაპირისპირება და კონფლიქტები. მაგალითად, 1989 წლის 15 ივლისის ტრაგედიის შემდეგ ბევრმა, თითქმის ცხრა ათასმა, დასტოვა აფხაზეთი. თუმცა ბევრი ისევ უკან ბრუნდება, რადგან აქაურ კეთილმეზობლურ ტრადიციებზე აღზრდილნი ვერ ეგუებიან ევროპელთა განცალკევებულ, საკუთარ ინტერესებში ჩაკეტილი ცხოვრების წესს. ამჟამად აფხაზეთში თერთმეტი ათასი ბერძენია და მათი ერთადერთი საწუხარი და სურვილი — ეს არის მშვიდობა, მშვიდობა აფხაზ და ქართველ ძმებს შორის.

**თენგიზ ჯიბუტი,**
**ომარ ჩიტაია,**
საქინფორმის კორესპონდენტები.

### ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის კონფერენცია

**გაიმართა** ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის რიგგარეშე კონფერენცია, რომელმაც იმსჯელა რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ. აღინიშნა, რომ მიწისძვრის შედეგად დაზიანდა ასობით შენობა-ნაგებობა, უსახლკაროდ დარჩა ათასობით ადამიანი. ასოციაცია თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაში.

კონფერენციამ უფლებამოსილება შეუწყვიტა მთავარ კომიტეტს და აირჩია ახალი შემდეგი შემადგენლობით. მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), გიორგი კერვალიშვილი, მამუკა ნიშნიანიძე, ზაალ სიხარულიძე, გიორგი თევზაძე, ცეზარ ბაქრაძე, იუზა ლაბაძე. ასოციაციის თავმჯდომარედ არჩეულია ზაალ სიხარულიძე.

კონფერენციამ მიიღო მიმართვა ქართველი ხალხისადმი. აღინიშნა ადამიანთა უფლებების დარღვევა რუსეთის იმპერიის ორასწლოვანი ოკუპაციის პირობებში.

წარმოება-დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომელთაც სურვილი აქვთ ხელი შეუწყონ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საქმეს და სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას, შეუძლიათ თავისი შემოწირულობანი გადარიცხონ ასოციაციის ანგარიშზე ღრმაღელის რაიონის მრეწვბანკში. ანგარიშის ნომერია: 000606209 მფო—52172.

საქინფორმი.

### საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

**საქართველოს** მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სამინისტროს კოლეგიამ ერთობლივი დადგენილებით შეიმუშავეს საქართველოს რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და დარგობრივი ინსტიტუტების სამეცნიერო-სამუშაოთა კოორდინაციის ახლებურად წარმართვის გზები, დაამტკიცეს საკოორდინაციო საბჭოს დებულება და შემადგენლობა.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა განიხილა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების საკითხი. გადაწყდა შეიქმნას მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო კომისია აკადემიის პრეზიდენტის აკადემიკოს ა. თავხელიძის თავმჯდომარეობით. კომისია მიმდინარე წლის სექტემბერში წარუდგენს პრეზიდიუმს განსახილველად ამ თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმას.

აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება გადამუშავებული და შევსებული ტექნიკური ტერმინოლოგიის შედგენისა და გამოცემის შესახებ.

პრეზიდიუმმა განიხილა „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის" ოთხტომეულის, „ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის" ერთტომეულისა და „ქართველი მოაზროვნეების" სერიის მომზადების საკითხი და დასახა ღონისძიებანი მათი უახლოეს წლებში გამოცემის უზრუნველყოფისათვის.

ამავე სხდომაზე აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გამოიცეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საინფორმაციო ბიულეტენი, რომელიც ქართველ და უცხოელ მკითხველს მიაწვდის ინფორმაციას აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში მოპოვებული უახლესი მიღწევების, საქართველოში მოწყობილი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმების, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.

საქინფორმი.

### ბავშვების საზაფხულო დასვენებისათვის

**გახურებული** ზაფხულია, პაპანაქებაა. მაგრამ წელს მრავალი ჩვენგანი იძულებულია შვებულება შინ გაატაროს ან საერთოდ უარი თქვას დასვენებაზე. ამის მიზეზია ცხოვრების სიძვირე, საგზურების დიდი ფასი, გაძნელებული კვება, ის, რომ მრავალი კურორტი არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ფონდებით. უფროსები, რომლებსაც უკვე საკუთარი თავი აღარ ადარდებთ, ბავშვებისთვის სწუხან — ისინი მაინც გაიყვანონ ქალაქის ბუღიდან. ის, თუ რა შესაძლებლობები გამოძებნა წელს რესპუბლიკამ ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული სიტუაციის პირობებში ბავშვების საზაფხულო დასვენების ორგანიზაციისათვის, საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფედერაციაში.

— წლეულს ზაფხულის არდადეგების პერიოდში ბავშვთა გამაჯანსაღებელ კომპლექსებში 72 ათასზე მეტი ბავშვი დაისვენებს. უწინარეს ყოვლისა, ესენი არიან სამაჩაბლოდან, მიწისძვრისაგან დაზარალებული რაიონებიდან ლტოლვილების, მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვები, საბავშვო სახლების აღსაზრდელები. ბავშვების ეს კატეგორია ისვენებს უფასოდ. შევეცადეთ აგრეთვე, არაფერი არ მოგვეკლო დედათა და ბავშვთა დასვენების ცენტრებისათვის.

ეს არის იმის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც წლეულს შეძლო მთავრობას, პროფკავშირებს, სამეურნეო ორგანოებს ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციისათვის. და, მართალია, გამოყოფილი თანხა — 18 მილიონი მანეთი — 6 მილიონით აღემატება შარშანდელ ბიუჯეტს, ინფლაციის გამო იგი ბავშვთა მხოლოდ 115 ჯანმრთელობის კერის უზრუნველყოფას ეყო. თავი იჩინა აგრეთვე იმან, რომ მრავალმა საწარმომ, რომლებიც გადავიდნენ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, უარი თქვა შეენახა მათ ბალანსზე არსებული დასვენების ბაზები. ამავე დროს, არიან საწარმოები, რომლებმაც შეძლეს თავიანთი თანამშრომლების ბავშვების დასვენების მოწყობა სხვადასხვა კომერციული ორგანიზაციის სახით სპონსორების მოზიდვის ხარჯზე.

მიღებულია აგრეთვე ზომები საგზურების გადიდებული ღირებულების კომპენსაციისათვის. მშობლები ისევ საგზურის საერთო ღირებულების 10 პროცენტს იხდიან.

**ირინე ბაბუნია,**
საქინფორმის კორ.

## თანადგომა

# საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის მიმართვა

**მეტად** მძიმე გამოდგა ჩვენთვის თავისუფლებისაკენ, სრული დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზა. ჩვენი ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ცენტრის მიერ პროვოცირებული კონფლიქტები ეროვნულ ნიადაგზე, ეკონომიკური ბლოკადა, და, მეორე მხრივ, სტიქიური უბედურებები. უცნაურად მომძლავრებულმა მიწისძვრებმა, მეწყერებმა, წყალდიდობებმა, გრიგალისებურმა ქარიშხლებმა შეიწირეს მრავალი ადამიანის სიცოცხლე, მრავალი ათასი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა.

სტიქიურმა უბედურებებმა გამოიწვია ათეული ათასობით საცხოვრებელი; საზოგადოებრივი და საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა, სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციათა ნგრევა და დაზიანება. მიყენებული მატერიალური ზარალის აუნაზღაურებლად. წინასწარი მონაცემებით 10 მილიარდამდე მანეთი დაგვჭირდება. დანგრეულია, ან დაზიანების შედეგად მთლიანად დასანგრევი და ხელმეორედ ასაშენებელია 12 ათასამდე საცხოვრებელი სახლი.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა მიწისძვრისგან დაზარალებული რაიონების მოსახლეობას დახმარების სახით გადასცა 170 ათასამდე მანეთის პირველი მოხმარების საგნები.

დახმარება აღმოგვიჩინეს სომხეთის და აზერბაიჯანის მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდებმა. დახმარება მივიღეთ საზღვარგარეთიდანაც. გერმანიის საქველმოქმედო საზოგადოება „კერ"-მა გამოგზავნა 40 ტონამდე კვების პროდუქტები, ავსტრიამ — 80 ათასი დოლარის ღირებულების მედიკამენტები და შესახვევი მასალა.

მაგრამ უსახლკაროდ დარჩენილ ჩვენს თანამემამულეებს პირველ რიგში თავშესაფარი სჭირდებათ.

ვინ უნდა უშველოს მათ, ვინ უნდა გაითავისოს მათი გაჭირვება, თუ არა ჩვენ, მათმა ჯილაგმა და მოდგმამ.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი სთხოვს ყველა დამფუძნებელ ორგანიზაციას, წარმოება-დაწესებულებას, კერძო პირებს ფონდის ანგარიშზე მიზნობრივად გადარიცხონ თანხები ასაშენები სახლების შესაძენად პირველ რიგში, ინვალიდებისა და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებისათვის.

იმედია, უყურადღებოდ არ დავტოვებთ ფონდის მიმართვას, რათა აღმოვუჩინოთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს ორგანიზებული და ოპერატიული დახმარება.

ფონდის ანგარიშია: 000704402, კოდი 521017, სოციალური განვითარების სააქციო-კომერციული ბანკის საოპერაციო სამმართველო, ქ. თბილისი.

## საზღვარგარეთ

# საქართველოს „ბოლშევიზაცია"

### ანუ როგორ შეათრიეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა „ურღვევ კავშირში"

**მიხეილ** გორბაჩოვის აზრით ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება 1991 წლის ზაფხულში დაიდება. ოსლოში გამოსვლისას ნობელის პრემიის ლაურეატმა გასაგებად თქვა, რომ კავშირიდან ზოგიერთი რესპუბლიკის გასვლის საწინააღმდეგო არა აქვს რა: ამისათვის „განქორწინებისას" მათ უნდა დაიცვან კანონით გათვალისწინებული ფორმალობანი, ეს არის და ეს. მაგრამ გორბაჩოვი და მისი კოლეგები ცდილობენ არ გაიხსენონ პირველი რესპუბლიკების „ნებაყოფლობითი" შესვლის ისტორია, რომლებმაც დამოუკიდებლობის შესახებ დეკრეტებით აღადგინეს ისტორიული სამართლიანობა. მოდით შევახსენოთ.

1920 წლის გაზაფხულზე კავკასიის სოვეტიზაციის პროცესი მთელი ძალით მიმდინარეობდა. აპრილში მუსავატისტთა მთავრობამ დატოვა აზერბაიჯანი და 28 აპრილს ორჯონიკიძე კიროვისა და მიქოიანის თანხლებით ჯავშნიანი მატარებლით შემოვიდა ბაქოში. ბოლშევიკებმა მზერა მიაპყრეს საქართველოს. ორჯონიკიძემ, რომელმაც წარმატებით გამოიყენა იძულებითი თვითგამორკვევის ნაცადი მეთოდი, შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმად ადგილობრივ ბოლშევიკებს უნდა მოეწყოთ „სახალხო აჯანყება" და დახმარებისათვის მოეწვიათ წითელი არმია. ამბოხების რაიონში შედიოდა სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი, დუშეთისა და ლაგოდის (ასეა ტექსტში — რედ. შენიშვნა) მაზრები, აგრეთვე ქუთაისის გუბერნია.

„საზღვრებისაკენ ჩვენი წინსვლისას, — არწმუნებდნენ მოსკოვს ორჯონიკიძე და კიროვი, — აღნიშნულ რაიონებში აჯანყება გარდაუვალია".

მაგრამ ისტორიაში ჯერ არ დამდგარიყო საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღსასრული. 1920 წლის 25 აპრილს პოლონეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს წითელი არმიის წინააღმდეგ. 6 მაისს მათ აიღეს კიევი. ყირიმში ძალას იკრებდა ბარონი ვრანგელი. სახიფათო ამბების მიუხედავად, ამხანაგი სერგო 3 და 4 მაისის დეპეშებით ლენინსა და სტალინს არწმუნებდა, რომ „ყველაფერი ბრწყინვალედ ჩაივლის" და სთხოვდა გაეცათ ბრძანება მე-11 არმიისათვის გადაელახა საქართველოს საზღვარი. და თუ 3 მაისს ორჯონიკიძეს რეალურად მიაჩნდა თბილისის დაკავება არა უგვიანეს 15 მაისისა, უკვე 4 მაისს საქართველოს კანონიერი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დამხობის დღედ იგი ასახელებს 12 მაისს.

მაგრამ მოსკოვმა, რომელიც უკრაინაზე პოლონეთის შეტევის წინაშე აღმოჩნდა, მოთმინებადაკარგული ორჯონიკიძის მაცდუნებელი პროექტები უკეთესი დროებისათვის გადადო. 4 მაისს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ აკრძალა „საქართველოს თვითგამორკვევა". ლენინისა და სტალინის მიერ გაგზავნილ დეპეშაში მითითებული იყო, რომ „გადაეყვანა ნაწილები საქართველოს ფარგლებიდან საზღვრისაკენ" და „განეგრძო მოლაპარაკება". „ერთ-ერთი ასეთი მკვეთრი შემობრუნების შედეგად, რომლებიც დამახასიათებელი იყო ლენინის პოლიტიკური სტილისათვის, — წერს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი რობერტ თაკერი, — მოსკოვმა დადო ხელშეკრულება, რომლითაც ფორმალურად ცნო საქართველოს მთავრობა მენშევიკთა ლიდერის ნოე ჟორდანიას მეთაურობით".

მაგრამ მოსკოვის ახალი პოლიტიკა სულაც არ ყოფილა კეთილი ნების ჟესტი. მსოფლიო რევოლუციის ქიმერებმა მხოლოდ დროებით დაუთმეს ადგილი დღის რეალიებს. ბოლშევიკებს, რომლებმაც შეაჩერეს შეტევა და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, შეეძლოთ მშვიდად ყოფილიყვნენ, რამეთუ, როგორც ლენინის დეპეშით აცნობა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩიჩერინმა, კავკასიაში „ყველაფერი ფასეული უკვე ხელთ ვიგდეთ".

ამასობაში საქართველოში ბოლშევიკები ემზადებოდნენ ნოე ჟორდანიას მთავრობის დასამხობად. 1918 წლიდან მოყოლებული საქართველოში პერიოდულად ხდებოდა აჯანყებები, რომლებსაც პროვოკაციულად იწვევდნენ ადგილობრივი ბოლშევიკები, საქართველოს მთავრობა მზად იყო მეამბოხეებთან დიალოგისათვის, მაგრამ ბოლშევიკებს არავითარი მოლაპარაკების გაგონებაც არ სურდათ. 1918 წლიდან 1920 წლამდე პერიოდში მათ მოაწყვეს შეიარაღებული გამოსვლები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, სამეგრელოსა და გურიაში, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრებში, დუშეთის სისხლიანი აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოში.

სამოქალაქო ზავის მიღწევას ხშირად ხელ უშლიდა მთავრობის შეურიგებელი დამოკიდებულება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ეროვნული მოძრაობისადმი. მეამბოხეთა მოძრაობამ, რომელიც წამოწყდა იმას, რომ თბილისს არ სურდა ჯეროვნად აღექვა ადგილობრივი თვითგამორკვევის იდეები ზოგჯერ მთელი მათი წინააღმდეგობრიობით, მერე სწრაფად შეიძინა ბოლშევიკური ხასიათი, მეორე მხრივ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ომმა კავკასიაში საქართველო გადააქცია საბჭოთა რუსეთის, ინგლისისა და თურქეთის შორის ჩამოგდებულ განხეთქილების ვაშლად. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული გამოსვლები ეჭვქვეშ აყენებდა საქართველოს სუსტ დამოუკიდებლობას, რამაც აიძულა მთავრობა ამბოხებულთა მიმართ გამოეყენებინა მის განკარგულებაში არსებული მთელი საშუალებანი.

1920 წლის იანვარში პოლიტიკური ბარომეტრი მოსკოვში უჩვენებდა „ქარს". საქმეში ჩაერია სტალინი. 1921 წლის 20 იანვარს ჩიჩერინმა ლენინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ჟორდანიას მთავრობას ბრალად სდებდა საბჭოთა კავშირ-საქართველოს ხელშეკრულების დარღვევას. ნაცვლად იმისა, რომ შეეთავაზებინა პრეტენზიების შემმოწმებელი ორმხრივი კომისიის შექმნა, ჩიჩერინი ამტკიცებდა, რომ საქართველოში მწიფდება შინაგანი რევოლუციური კრიზისი. ჩიჩერინის წერილიდან დასკვნები გამოიტანა სტალინმა: თუ მეზობელი სახელმწიფოს მთავრობა არღვევს ხელშეკრულებას, უთანხმოებათა აღმოფხვრის ყველაზე ეფექტიანი მეთოდია თვით ამ მთავრობის დამხობა. 24 იანვარს სტალინმა ცენტრალური კომიტეტის წევრებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც იმოწმებდა ჩიჩერინის მასალებს, აგრეთვე ვითომდა მის განკარგულებაში არსებულ სხვა ცნობებს და ამტკიცებდა, რომ საქართველოში შეიქმნა რევოლუციური სიტუაცია და შესთავაზა მიეცათ ორჯონიკიძისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციებისათვის დირექტივა შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ, ხოლო რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს — საჭიროების შემთხვევაში მზად იყოს დაუყოვნებლივ გაუწიოს დახმარება აჯანყებულებს. 26 იანვარს რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ფაქტობრივად სანქცია მისცა საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული ძალის გამოყენებას.

11 თებერვალს ღამით საქართველოს საზღვრისპირა რაიონში, სადაც სომეხი მოსახლეობის ნაწილი ცხოვრობდა, მოხდა უწესრიგობანი, რომლებსაც შემდგომში საბჭოთა ისტორიკოსები „ქართველი ხალხის შეიარაღებულ აჯანყებას" უწოდებენ. ამის შემდეგ დაიძრნენ ბოლშევიკური რაზმები გორის, დუშეთის, ბორჩალოს, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში.

ასეთ ვითარებაში წითელმა არმიამ გადმოლახა საზღვარი და დაიწყო საბრძოლო მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე. 1920 წლის 15 თებერვლის დეპეშაში ლენინი წითელი არმიის ოპერაციას მიიჩნევს „როგორც ნეიტრალური ზონის აჯანყებულთა ადგილობრივ დაცვას თეთრგვარდიელთა მხრივ მათი განადგურებისაგან. და ამ დაცვას უკავშირებს „თბილისის აღებას", თუ ეს სამხედრო მოსაზრებებით აუცილებელია ახალი თავდასხმისაგან ნეიტრალური ზონის ნამდვილი დაცვისათვის".

ფაქტები მოწმობს, რომ სინამდვილეში არავითარი შინაგანი რევოლუციური კრიზი არ არსებობდა. აჯანყება მოხდა წითელარმიელთა ხიშტებით, და თუმცა საზღვრისპირა რაიონის სომეხთა შორის იყო პროვოკაციულად გამოწვეული მღელვარებანი, ჟორდანიას მთავრობამ მიწის რეფორმის, მრეწველობის ნაწილობრივი ნაციონალიზაციისა და ეროვნული თვითშეგნების აღორძინების წყალობით ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული ქართველ მოსახლეობაში. მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით მთავრობა სუსტი იყო, რის გამოც, არ ჰქონდა ძლიერი არმიის შენახვის შესაძლებლობა, „ჩვენ კრახამდე მივედით", — გულისტკივილით აღნიშნავდა 1920 წლის ოქტომბერში ნოე ჟორდანია. საერთაშორისო დახმარების გარეშე საქართველო განწირული იყო.

„მიუხედავად ამისა, — წერს რობერტ თაკერი, — ცუდად აღჭურვილმა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებსაც უუნაროდ ხელმძღვანელობდნენ, წინააღმდეგობა გაუწია. წითელ არმიას ათი დღე დასჭირდა, რათა სამხრეთიდან გადაეკვეთა პატარა საქართველო და დაეკავებინა თბილისი, ხოლო მის დასავლეთ ნაწილში კიდევ სამ კვირას გრძელდებოდა ბრძოლები. საქართველოს თვითგამორკვევას სრულმასშტაბიანი შეიარაღებული ინტერვენცია დასჭირდა.

25 თებერვალს მე-11 არმიის მოწინავე ნაწილები, რომლებსაც სერგო ორჯონიკიძე მეთაურობდა, შევიდნენ თბილისში. თვითმხილველთა მოწმობით, ქალაქში დაიწყო ძარცვა, მკვლელობა, ძალმომრეობა. ასე მოუღეს ბოლო კომუნისტებმა დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატიულ საქართველოს.

**პაველ ევდოკიმოვი,**
**გაზეთი „ალტერნატივა", რეგიონთაშორისი სოციალურ-დემოკრატიული მაცნე.**
**1991 წლის ივლისი.**

## აფეთქება ჰიმნის ჰანგებში

**ტალინი** (საქინფორმის საკ. კორ. გენადი დემეტრაშვილი). ჯერ კიდევ გუშინ ესტონეთის დედაქალაქი შეიძლებოდა ლამის ყველაზე მშვიდ ადგილად მიგვეჩნია ბალტიისპირეთში. აქ არ ყოფილა მთავრობის შენობების მიტაცება, როგორც რიგაში ან ვილნიუსში, და თუ იყო არასასიამოვნო ინციდენტები, ისინი ძირითადად უკავშირდებოდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზღვრებზე განლაგებულ საბაჟო საგუშაგოებზე „ომონელების" თავდასხმებს.

მაგრამ გასულ სამშაბათს, ზუსტად 22 საათზე, როცა ჩვეულებრივ სახელმწიფო ჰიმნის ჰანგებში გერმანიის კოშკიდან უშვებენ ესტონეთის რესპუბლიკის ეროვნულ დროშას, შენობაში, სადაც მშობლიური მხარის დაცვის დეპარტამენტის შტაბ-ბინაა, გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა, რომელსაც მოჰყვა დაზიანებანი, დაშავდა ერთი თანამშრომელი.

საინტერესო დეტალია. ამ დღეს აქ მოიტანეს ახალი ავეჯი. როგორც ჩანს, ვიღაც „კეთილმოსურნემ" მასთან ერთად მოიტანა ასაფეთქებელი მოწყობილობა. ვინ არის ეს კაცი და ვის დავალებას ასრულებდა, ამას გამოარკვევს რესპუბლიკის პროკურატურა, რომელმაც დაიწყო გამოძიება.

## პროტესტები საბერძნეთში

**საბერძნეთში** მძაფრი პროტესტები გამოიწვია ევროპის საბჭოს ინიციატივით გავრცელებულმა რუკამ, რომელზეც ეგეოსის ზღვაში საბერძნეთის ზოგიერთი კუნძული აღნიშნულია როგორც „თურქეთის" კუნძულები. ადგილობრივი პრესის ცნობით, ეს რუკა სტრასბურგში დაბეჭდილა და ათენში მიმდინარე ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ასპარეზობაზე გავრცელებულა. მტკიცე პროტესტი განაცხადა ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის წარმომადგენლობამ სტრასბურგში, აქცია დაგმეს ევროპარლამენტის ბერძენმა დეპუტატებმა, რომლებმაც მოითხოვეს დაუყოვნებლივ გამოიძიონ ეს ინციდენტი.

ამის პასუხად ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობამ, როგორც აქ იუწყებიან, ბოდიში მოიხადა და განაცხადა, რომ საქმე ეხება სტამბის შეცდომას. ყბადაღებული რუკის ყველა ეგზემპლარი ამოღებულია.

საბერძნეთის მხარის პროტესტი გამოიწვია აგრეთვე ასპარეზობაზე თურქეთის დელეგაციის მიერ გავრცელებულმა რუკამ, სადაც საბერძნეთის ორი კუნძული — როდოსი და სამოსი თურქეთის ტერიტორიის ფერით არის წარმოდგენილი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბერძნეთმა პროტესტი განუცხადა იტალიასაც ათენის ასპარეზობაზე გავრცელებულ ბუკლეტთან დაკავშირებით, რომელიც შეიცავს ბერძნებისათვის „შეურაცხმყოფელ" მტკიცებებს.

## „საერთაშორისო ამნისტიის" მოხსენება

**ადამიანის** უფლებათა დარღვევა შარშან აღინიშნა 141 ქვეყანაში, თანაც ხშირად უწინდელზე უფრო სერიოზული დარღვევებიც იყო. ეს ნათქვამია ორგანიზაციის „საერთაშორისო ამნისტიის" ყოველწლიურ მოხსენებაში. მისი აზრით, აღმოსავლეთ ევროპასა და აფრიკის სამხრეთში ცვლილებათა მიუხედავად მსოფლიო მასშტაბით [illegible] გაზრდილია პატივისცემა ადამიანის უფლებებისადმი. „ზოგიერთი მთავრობა აწამებს და ხოცავს ადამიანებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ — ორპირულად გმობენ ადამიანის უფლებათა ცალკეულ დარღვევებს, მაგრამ როცა სჭირდებათ, უგულებელყოფენ სხვა უფლებებს", აღნიშნულია მოხსენებაში.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, მსოფლიოს ქვეყნების დაახლოებით ნახევარმა შეიძლება იპოვოს „სინდისის ტყვეები", ხოლო ასზე მეტ სახელმწიფოში პატიმრებს აწამებენ, ან შეურაცხმყოფლად ექცევიან. 29 ქვეყანაში პატიმრები ან „ქრებოდნენ", ან სიკვდილით ისჯებოდნენ არსებული კანონების დარღვევით. სულ კი სიკვდილის განაჩენი გამოუტანიათ და აღასრულებდნენ 90 სახელმწიფოში.

## ეს საკითხები გადაჭრას მოითხოვს

**კომუნიზმის** დიქტატურამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უამრავ თავსატეხთან ერთად ტერიტორიული პრობლემებიც დაუტოვა. რუმინეთის პარლამენტში ხშირად გაისმის მოწოდება, დიპლომატიური მეთოდებით შეახსენონ მოსკოვს, რომ რუმინელი ხალხის სურვილია საბჭოთა კავშირმა სამშობლოს დაუბრუნოს ბესარაბია, ჩრდილოეთ ბუკოვინა და ე. წ. გერცის ოლქი. ბულგარეთშია რუმინული მიწა — სამხრეთ დობრუჯის რაიონი, ტრანსილვანიაზე რომ არაფერი ვთქვათ, თავის მხრივ ბულგარეთი ფიქრობს დაშლილი იუგოსლავიიდან მაკედონიის რესპუბლიკის შემოერთებას, სადაც მოსახლეობა ბულგარული ენის ერთ-ერთ დიალექტზე საუბრობს. ამიტომ იგი იუგოსლავიის დაშლის მომხრეა და აპირებს ცნოს სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფოები.

იტალიის ზოგიერთ წრეში გაისმის მოწოდება შეუერთონ თანამედროვე იუგოსლავიის ერთი ნაწილი, რომელიც წარსულში ზოგჯერ იტალიაში შედიოდა.

საბჭოთა კავშირთან ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ პოლონელებს, ჩეხებს — სლოვაკეთს, უნგრეთს, ფინეთს.

ეს საკითხები აუცილებლად უნდა გადაიჭრას, თუ აღმოსავლეთ ევროპას მომავალში მშვიდობიანი ცხოვრება სურს. იგი განსაკუთრებულ აქტუალობას შეიძენს, როდესაც იუგოსლავიის ეფემერული სახელმწიფო დაიშლება, რაც უახლოესი დროის საქმეა.

## მიღებულია ბრიონის დეკლარაცია

**სლოვენიის** სკუპშჩინამ (პარლამენტმა) ხმების უმრავლესობით მოიწონა დღეს ბრიონის დეკლარაცია, რომელიც მიზნად ისახავს სლოვენიაში კონფლიქტის მოწესრიგებას. ეს დოკუმენტი ამას წინათ შეათანხმეს სლოვენიის, იუგოსლავიის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და ევროპის გაერთიანებათა ქვეყნების სამ მინისტრს შორის, რომლებიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ადრიატიკის ბრიონის კუნძულზე.

ამით გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი საშიში კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე, რომელიც წარმოიშვა სლოვენიის მიერ თავისი დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადებისა და იუგოსლავიის ფედერალურ ხელისუფლებასთან საპასუხო მოქმედების შედეგად, რომლებმაც გაგზავნეს ჯარები სლოვენიაში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების უზრუნველყოფისათვის.

ბრიონის დეკლარაცია ითვალისწინებს საომარი მოქმედების სრულ შეწყვეტას, არმიისა და სლოვენიის ტერიტორიული თავდაცვის ქვეგანაყოფების გაყვანას მუდმივი დისლოკაციის ადგილებში, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებზე სლოვენიის დამოუკიდებლობის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებამდე არსებული რეჟიმის აღდგენას. სამ თვეში უნდა მოგვარდეს ყველა საკითხი, რომელიც ეხება სლოვენიაში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საზღვრებზე არმიის ფუნქციებს.

დოკუმენტში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაიწყოს მოლაპარაკება იუგოსლავიის რესპუბლიკებს შორის ქვეყნის პოლიტიკურ მომავალზე, წამოყენებულია ევროპის გაერთიანებათა ქვეყნების მეთვალყურეთა მისიის გაგზავნის პირობები ბრიონის შეთანხმების შესრულებისადმი კონტროლისათვის.

სლოვენიის პარლამენტში დისკუსიის დროს გამოითქვა აზრი, რომ ბრიონის დეკლარაციის მიღება თუ მასზე უარი ნიშნავს არჩევანს მშვიდობასა და ომს შორის. დეპუტატებს მოუწოდებს ხმა მისცენ ამ დოკუმენტის მიღებას რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მილან კუჩანმა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის წევრმა სლოვენიისაგან იანეზ დრნოვშეკმა, შემდეგ კი მთავრობის მეთაურმა ლოიზე პეტერლემ, რომელსაც წინათ უფრო მკაცრი პოზიციები ეკავა. საბოლოოდ 189 (11-მა ხმა მისცა „წინააღმდეგ" და 7-მა თავი შეიკავა) ხმით სკუპშჩინამ მოიწონა დეკლარაცია.

სლოვენიის გადაწყვეტილება სახავს შესაძლებლობებს იუგოსლავიის ფედერაციის უმაღლესი ორგანოების უფრო შედეგიანი საქმიანობისათვის ქვეყანაში ვითარების სტაბილიზაციის მისაღწევად და იუგოსლავიის პოლიტიკური მომავლის შესახებ მოლაპარაკების ხელშესაწყობად. დღეს საღამოს უნდა გაიმართოს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც [illegible] სლოვენიის პარლამენტის გადაწყვეტილების მოლოდინში, რათა განიხილონ ამ რესპუბლიკაში შექმნილი სიტუაცია და სხვა მწვავე პრობლემები. ვითარების სტაბილიზაციისათვის საქმიანობის გეგმები გამოიყენება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამაც.

## პრეზიდენტი მოსწავლეებთან



**შეერთებული** შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ინიციატორია ამერიკის ახალი სასკოლო განათლების პროგრამისა. ჟურნალ „ტაიმის" კორესპონდენტთან საუბრის დროს ბუშმა აღნიშნა, რომ ამერიკელ მოზარდებს უფრო მეტად უნდა გამოუმუშავდეთ შეჯიბრებისა და ჯანსაღი კონკურენციის უნარი. ამასთან ისინი მოქმედების დროს უნდა იყვნენ დაფიქრებულნი, ჰქონდეთ საქმიანობის დიდი პასუხისმგებლობა და იყვნენ კომპეტენტურნი. პრეზიდენტის აზრით სწორედ ასეთი ახალგაზრდები იქნებიან დიდი ცივილიზაციის მქონე სახელმწიფოს ღირსეული მემკვიდრეები. პრეზიდენტი მარტო „აგიტაციით" არ იფარგლება. იგი ყოველდღიურად ერთ საათს უთმობს ახალი კომპიუტერული სისტემების შესწავლას.

**სურათზე:** პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ვირჯინიის შტატის ქალაქ არლინგტონის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებს სასკოლო სწავლების ახალ მეთოდებზე ესაუბრება.

## მოიტაცეს ოპოზიციის ლიდერი

**უცნობმა** პირებმა მოიტაცეს დემოკრატიული კონვერგენციის — სალვადორის მემარცხენე ძალების პოლიტიკური კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი ბერთოლომე იმალა დე პასი. როგორც დემოკრატიული კონვერგენციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, გატაცება მოხდა ქალაქ სან-ვისენტში, 60 კილომეტრზე ქვეყნის დედაქალაქ სან-სალვადორიდან.

დემოკრატიულმა კონვერგენციამ, რომელიც სამ მემარცხენე პოლიტიკურ პარტიას აერთიანებს, პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამა წლის მარტში ადგილები მოიპოვა სალვადორის საკანონმდებლო კრებაში.

დემოკრატიული კონვერგენციის წარმომადგენლის გატაცება ამ ბოლო დღეებში უკვე მეორე ტერორისტული აქტია სალვადორის მემარცხენე ძალების წარმომადგენელთა მიმართ. კვირას უცნობი პირები სასტიკად გაუსწორდნენ მარტინ აიალას, ქვეყნის ღატაკთა თემების ლიდერს. ამ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა ოპოზიციამ დააკისრა ამ ბოლო ხანს გააქტიურებულ „სიკვდილის ესკადრონებს".

სალვადორში პოლიტიკური ძალმომრეობის ესკალაცია იმის საფრთხეს ქმნის, რომ ჩაიშალოს მექსიკის დედაქალაქში დაწყებული საზავო მოლაპარაკების მორიგი რაუნდი სალვადორის მთავრობასა და ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტს შორის, განუცხადა აქ ოთხშაბათს ჟურნალისტებს მეამბოხეთა წარმომადგენელმა რებეკ პალასიოსმა.

## ჩეხებისა და სლოვაკების დამოკიდებულება უცხოელებთან

**ჩეხები** და სლოვაკები ნეგატიურად ეკიდებიან უცხოელებს, განსაკუთრებით კანის სხვა ფერის ადამიანებს — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ სოციოლოგები ჩეხოსლოვაკიაში მოწყობილი გამოკითხვის საფუძველზე. ანკეტირების შედეგები, რომელშიც 1.027 კაცი მონაწილეობდა, ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა.

ჩეხოსლოვაკიის მოქალაქეთა თითქმის ორი მესამედი დადებითად ეკიდება ამერიკელებსა და ავსტრიელებს, სამაგიეროდ არ სწყალობენ პოლონელებს, ისრაელებს, თურქებს, პალესტინელებსა და არაბებს. ძირითადად კარგად ეკიდებიან ჩეხები და სლოვაკები გერმანელებსა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხალხებს. მხოლოდ მოსახლეობის მეექვსედმა გამოთქვა მათ შესახებ უარყოფითი აზრი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეებთან ურთიერთობა პირდაპირ არის დამოკიდებული რესპონდენტთა ასაკზე. 60 წელზე მეტი ხნის ჩეხთა და სლოვაკთა თითქმის 20 პროცენტი არ ენდობა გერმანელებს. მაგრამ 15-29 წლის ახალგაზრდობაში ასეთია მხოლოდ 8 პროცენტი.

რაც შეეხება სსრ კავშირის ხალხებს, ჩეხთა და სლოვაკთა მნიშვნელოვანი ნაწილის დამოკიდებულება მათდამი შეიძლება ნეიტრალური ეწოდოს. საბჭოთა კავშირის მოქალაქეების დიდი სიმპათიით ეკიდებიან სლოვაკები. სლოვაკიაში მოსახლეობის 29 პროცენტი დადებითად ეკიდება საბჭოთა ადამიანებს, ჩეხეთსა და მორავიაში — 21 პროცენტი. რაც უფრო მეტი ხნისა არიან გამოკითხვის მონაწილენი, მით უფრო უკეთესია მათი დამოკიდებულება სსრ კავშირისადმი.

## კოსოვოს ამბები

**კვლავ** შემაშფოთებელი ცნობები მოდის იუგოსლავიის სამხრეთიდან. კოსოვოში, სადაც ალბანელი მოსახლეობა ჭარბობს, ადგილობრივმა ეროვნულმა პარტიებმა გადაწყვიტეს საკოორდინაციო კომიტეტის შექმნა სერბიის შემადგენლობაში შემავალ ამ ავტონომიურ მხარეში „პარალელური ხელისუფლების" დამყარების მიზნით.

კოსოვოში უკვე წელიწადია არ მოქმედებს პარლამენტი, მთავრობა და ხელისუფლების სხვა ორგანოები. ავტონომიური მხარის პარლამენტის უკანონო გადაწყვეტილების პასუხად, რომელმაც იგი „იუგოსლავიის ფედერაციის დამოუკიდებელ ერთეულად" გამოაცხადა, სერბიის ხელისუფლებმა აქ საგანგებო წესები შემოიღეს. ავტონომიურ მხარეს ერთობლივად მართავენ უშუალოდ სერბიის აღმასრულებელი ორგანოები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დიდი ძალების დახმარებით.

ალბანეთის ეროვნული პარტიების გადაწყვეტილება შეიძლება ნიშნავდეს კონფლიქტური სიტუაციის გამწვავებას იუგოსლავიის ამ ნაწილშიც.

## ნევზოროვი მარტო რჩება

**გაზეთი** „ნევსკოე ვრემია" იტყობინებოდა, რომ ლენინგრადის ტელევიზიის პროგრამა „600 წამის" უცვლელმა დირექტორმა ალექსანდრე ბორისოგლებსკიმ და პროგრამის რეჟისორმა კირილე შიშკინმა გადაწყვიტეს სამუშაო დატოვონ. გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში კირილე შიშკინმა თქვა, რომ მას არ მოსწონს უკანასკნელ ხანს რედაქციაში გამეფებული ყაზარმული ვითარება.

7 ივლისს ლენინგრადის ტელევიზიით გამოვიდა ალექსანდრე ნევზოროვი, რომელმაც საბჭოთა მხედრიონის მეთაურთა მადლიერება დაიმსახურა. მან დაადასტურა, რომ მართლაც ზოგიერთი თანამშრომელი წავიდა ან აპირებს წასვლას „600 წამის" რედაქციიდან. მათ შორის არიან წამყვანი ალექსი ზაგოროდნიუკი და ვადიმ მედვედევი. თანამშრომელთა მასობრივ წასვლას ნევზოროვმა ზურგში ლახვარის ჩაცემა უწოდა. მან განაცხადა, ყოველივე ამის მიუხედავად პროგრამა მაინც გამოვა.

სხვათა შორის, ალექსანდრე ნევზოროვი არჩეულია პატრიოტული მოძრაობა „სამშობლოს" საკოორდინაციო საბჭოში, რომლის დამფუძნებელი კონფერენცია ლენინგრადში 5 ივლისს გაიმართა. ამ მოძრაობის ძირითადი მიზანია იხსნას სსრ კავშირი შემდგომი დაშლისაგან. სხვა პარტიებთან და ორგანიზაციებთან ერთად, მოძრაობა „სამშობლო" შევიდა სამრახისად ცნობილ გაერთიანებაში „ერთიანობა, ლენინიზმისა და კომუნისტური იდეალებისათვის", რომელსაც ნინა ანდრეევა მეთაურობს.

**დევი ბერძენიშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

# რამდენიმე სტრიქონით

**ბორის** ელცინის რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე არჩევის შემდეგ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ადგილი, რომელიც მანამდე ელცინს ეკუთვნოდა, ვაკანტური დარჩა. პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, ხუთ კანდიდატს შორის ყველაზე რეალური შანსები პროფესორ რუსლან ხასბულატოვს აქვს.

**რეიტერის** სააგენტოს ცნობით, ლონდონში „დიდი შვიდეულის" შეხვედრის დროს განიხილავენ არა საბჭოეთისადმი ეკონომიკური დახმარების საკითხებს, არამედ იმას, თუ როგორ ჩართონ საბჭოთა ეკონომიკა მსოფლიოს ეკონომიკაში.

**დასავლეთ** ნახევარსფეროში დიდი მზის დაბნელება მოხდა. ამ მოვლენას თვალყურს ადევნებდნენ ქართველი ასტრონომებიც. სპეციალისტები აღნიშნავენ რომ ასეთი დონის მზის დაბნელება 2132 წელიწადში ერთხელ ხდება.

**გაეროშ** ნება არ დართო ერაყს გაეყიდოს 1,5 მილიარდი დოლარის ნავთობი, რათა ამ თანხით პირველადი მოხმარების საგნები შეიძინოს. ომის დასრულების შემდეგ ერაყში შიმშილით უკვე 6 ათასამდე ბავშვი დაიღუპა.

**შეერთებული** შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია თურქეთში აპირებენ განალაგონ ე. წ. სწრაფი რეაგირების კორპუსი. იგი იმოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერაყის რეჟიმი კვლავ დაემუქრება ქურთებს.

**სპეციალისტთა** გაანგარიშებით, პოლონეთში მოხმარებული ალკოჰოლის თხუთმეტი პროცენტი არალეგალურად შეაქვთ ე. წ. საბჭოთა ტურისტებს. ერთ ავტობუსს საშუალოდ 200-400 ბოთლი არაყი გააქვს პოლონეთში. ამიტომ ვარშავაში არ სჯერათ, რომ საბჭოთა კავშირში არაყი ტალონებით იყიდება.

**„სატანური** ლექსების" ავტორს სალმან რუშდის, როგორც ცნობილია, აწ განსვენებულმა აითოლა ჰომეინიმ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის სიკვდილი მიუსაჯა. ამის შემდეგ რუშდი ცოლს გაცილდა და ცხრაკლიტულში ჩაიკეტა, მისი გახმაურებული ნაწარმოების იაპონურად მთარგმნელი 44 წლის ჰიტოსი იგარასის კი არ გაუმართლდა. გუშინ იგი მოკლული ნახეს ცუკუბას საუნივერსიტეტო ქალაქის ტერიტორიაზე.

**უკანასკნელი** ასი წლის განმავლობაში ყველაზე ძლიერმა წყალდიდობამ ჩინეთს 9 მილიარდი იუანის ზარალი მიაყენა. დაიღუპა 200 კაცი, კავშირი გაწყვეტილია 17 ათას სოფელთან და ბევრ ქალაქთან. წყალდიდობით წარმოშობილ ზღვის კუნძულებს თავი შეაფარა ხუთ მილიონამდე კაცმა.

**ბონში** ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი და უნგრეთის პრემიერი იოსებ ანტალი. კოლმა მოიწონა უნგრეთის ეკონომიკური რეფორმები და შეპირდა ანტალს, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა უნგრეთი უახლოეს მომავალში ევროპის საბჭოს წევრი გახდეს.

**სომხეთის** ექვსმა პოლიტიკურმა პარტიამ და მოძრაობამ: საერთო-ეროვნულმა მოძრაობამ, „ეროვნული თვითგამორკვევის" გაერთიანებამ, სომხეთის რესპუბლიკურმა პარტიამ, „რამკავარ-აზატაკანის" პარტიამ, სომხეთის ეროვნულ-კონსერვატიულმა პარტიამ და ქრისტიანულ-დემოკრატიულმა კავშირმა სომხეთის მოსახლეობას მოუწოდეს 21 სექტემბრის რეფერენდუმზე ხმა მისცენ დამოუკიდებელ სომხეთს, რომელიც საბჭოეთის გარეთ იარსებებს.

**სომხეთის** პრემიერი ვაზგენ მანუკიანი პარიზში შეხვდა საფრანგეთის პრემიერს ედით კრესონს. მხარეები ეკონომიკური თანამშრომლობის დამყარების შესაძლებლობებს იხილავდნენ.

**შეერთებული** შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გააუქმა ეკონომიკური სანქციები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. ბუშის თქმით, მას შემდეგ, რაც რესპუბლიკას სათავეში ფრედერიკ დე კლერკი ჩაუდგა, ქვეყანამ დიდი ნაბიჯები გადადგა დემოკრატიის გზაზე.

**ჩინეთის** მოსახლეობა XXI საუკუნეში 1,5 მილიარდს მიაღწევს. ყოველწლიურად იგი 17 მილიონით იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩინელები დედამიწის მოსახლეობის უკვე 22 პროცენტია, მათ „მხოლოდ" მიწების 7 პროცენტი ეკუთვნით, ზოგიერთი პროგნოზისტის აზრით, მოსახლეობის განუწყვეტელი ზრდა ჩინეთს აიძულებს ტერიტორიებზე იფიქროს, ხოლო თავისუფალი ტერიტორიები კი მხოლოდ ჩრდილოეთით, საბჭოთა კავშირშია.

**თვითმფრინავი,** რომელსაც მექაში მლოცველები მიჰყავდა, საუდის არაბეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ჯიდასთან აფეთქდა. ჯერჯერობით გარკვეულია, რომ უკვე დაიღუპა 215 მლოცველი და თვითმფრინავის ეკიპაჟი.

**ამჟამად** იუგოსლავიის დასავლეთის ბანკებისა 16 მილიარდი დოლარი მართებს, აქედან 11 მილიარდი კომერციული ბანკების წილად მოდის. დასავლეთში ახლა ფიქრობენ, თუ ვინ დააბრუნებს ვალს, თუ იუგოსლავია დაიშალა? ბანკირებმა განაცხადეს, რომ ისინი მხარს დაუჭერენ სლოვენიის დამოუკიდებლობას, თუ იგი იკისრებს ვალის 25 პროცენტის გადახდას.

**პრეზიდენტი** ბუში არ დაეთანხმა მტკიცებას, თითქოს გორბაჩოვი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების რატიფიკაციას იმიტომ აპირებდეს, რომ დასავლეთისგან ფული მიიღოს. „არავითარი კავშირი არ არის ხელშეკრულების რატიფიკაციასა და მოსკოვისადმი ეკონომიკური დახმარების საკითხებს შორის, ეს პრობლემები ერთმანეთთან არ არის დაკავშირებული, ყოველი მათგანი თავისებურად მნიშვნელოვანია", — თქვა თეთრი სახლის მეთაურმა.

**ავიაციის** ქვეგანაყოფები მზად არიან დაარტყან სლოვენიას, თუ იგი არ დაიწყებს ბრიონის დეკლარაციის შესრულებას. სამხედრო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენებისათვის ცეცხლის დაშენის შემთხვევაში გაიცემა ბრძანება, რომ მიაყენონ დარტყმა სლოვენიის ტერიტორიულ არმიას მათი სრული მოსპობის მიზნით, ნათქვამია იუგოსლავიის სახალხო არმიის სამხედრო სარდლობის წერილში, რომელიც ტანიუგის სააგენტომ გაავრცელა.

**პრეზიდენტმა** ბუშმა დაამტკიცა ერაყის იმ პუნქტების სია, რომლებიც დაიბომბება თუ ბაღდადი არ დაემორჩილება საერთაშორისო მოთხოვნას და არ გაანადგურებს ბირთვული იარაღის შესაქმნელ ტექნოლოგიას, იუწყება გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი".

**პოლონეთში** ფართოვდება კამპანია მომავალი პარლამენტის არჩევნების შესახვედრად: „სოლიდარობა" აპირებს დაასახელოს 69 კანდიდატი. პოლონეთის მემარცხენე ძალებმა განაცხადეს, რომ აპირებენ შექმნან ბლოკი, რომელიც იბრძოლებს არჩევნებში გამარჯვებისათვის.

**შეერთებული** შტატების ახლად დანიშნული ელჩი მოსკოვში 72 წლის რობერ შტრაუსი, იმის გამო, რომ ვეღარ ითანამშრომლებს საკუთარ იურიდიულ ფირმაში, კომპენსაციის სახით მიიღებს 1,4 მილიონ დოლარს. ამერიკული კანონების თანახმად, შტრაუსმა, სანამ ელჩად იმუშავებს, თავისი მილიონები უნდა „გაყინოს" და გადასცეს სპეციალურ ფონდს. ეს იმიტომ ხდება, რომ თანამდებობის პირებმა, მათ შორის ელჩებმაც, თავიანთი მდგომარეობა უკანონო გამდიდრებისთვის არ გამოიყენონ.

## დაიწყო ბრძოლა პრეზიდენტის სავარძლისათვის

**აზერბაიჯანის** პრეზიდენტი, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნ. მუტალიბოვი რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების კამპანიის დროს დასახელებულია ამ საპატიო პოსტის კანდიდატად. რესპუბლიკის უმაღლესი ხელმძღვანელის არჩევნები აქ პირველად ეწყობა გასულ თვეში აზერბაიჯანის პარლამენტის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად. არჩევნები ჩატარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება 8 სექტემბერს.

## ფრენა კონტრაქტით

**ბაქოელი** ავიატორები შეუდგნენ მეოთხე რეისის შესრულებას, რომელიც პირველად დააკავშირებს აზერბაიჯანის, ირანისა და ყაზახეთის დედაქალაქებს. კონცერნ „აზერბაიჯანის ავიახაზებსა" და ირანის კერძო კომპანია პარს ნირვანს შორის დადებული კონტრაქტის შესაბამისად, მათ სსრ კავშირში უნდა გადაიყვანონ მეზობელი ქვეყნის 200-მდე ტურისტი და ბიზნესმენი.

მხარეთა მორიგებით, მგზავრებს მიიყვანენ ჯერ ბაქოში, საიდანაც კონცერნის თვითმფრინავებით ისინი გადაფრინდებიან ალმა-ათაში. თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რომელსაც რეისის დროს გამოიმუშავებენ აზერბაიჯანელი პილოტები, ბაქოს საერთაშორისო აეროვაგზლის კომპლექსის მშენებლობასა და რეკონსტრუქციას მოხმარდება.

**მასალები მოამზადა საქინფორმის საქ. კორესპონდენტმა აფლატინ ამაშოვმა.**

# ახალი ლექსები

### თავისუფალ საქართველოს შვილი

მზე მიიწევს მაღლა, ო, სულ მაღლა,
ოქროვდება კავკასიის ქედი,
აკვანში რომ გაიღვიძა ბალღმა,
თუ მქონია, მას მქონია ბედი.

გაიზრდება მძლავრი, როგორც ვეფხვი,
მშვენიერი, როგორც ვარდი შლილი,
მონობიდან თავდახსნილი ქვეყნის
თავისუფალ საქართველოს შვილი.

პონტოს ზღვიდან ავა ახალ ზღვებზე,
ჩრდილოეთის ყინვა არ გათოშავს,
და მეგზურად წარუძღვება გზებზე
საქართველოს მინდისფერი დროშა.

მოუვლინე, ღმერთო, ზურგის ქარი.
მოქათქათე აფრებს გაშლის როცა,
იფარავდეს წმინდა ნინოს ჯვარი
და ღვთისმშობელ მარიამის ლოცვა!

15.IV.91.

### გავიმეოროთ გულში!

ვინც სამშობლოსთვის ცოცხლობს,
ვინც ერისათვის კვდება,
იმიერ სოფლად ყველას
სამოთხე ელოდება.
ვინც მამულს უღალატებს,
რწმენას უარყოფს უფლის,
მას ზეცის რისხვა ელის
და ჯოჯოხეთის კუპრი.

ეს ძველი შეგონება,
მკვდრეთით აღმდგარი გუშინ,
ისევ, ისევ და ისევ
გავიმეოროთ გულში!

5.III.91.

### მე, ბატონო, ჩემი მითქვამს

როცა რაც მას არ ეკუთვნის
თავხედურად შენგან ითხოვს,
უცხო თესლი, შენს მიწაზე
თუნდაც ბინა ედოს დიდხანს,
მასთან ბევრი ლოლიავი,
მე, ბატონო, ჩემი მითქვამს,
ნიშნავს წმინდა წყლის ნაყვას და
მგლისთვის სახარების კითხვას.

2.IV.91

### დეკადენტი

ნათალი პროფილი, მტკიცე ყვრიმალები,
ფერმკრთალი ლაწვები, ცხვირი კეხიანი,
სევდაჩაგუბული უძირო თვალები,
დაღლილი თბილისში მთვრალი ხეტიალით.

გრძელი და ლვედივით მოქნილი თითები,
ზამთარში კაშნე და მუქლურჯი ბერეტი,
უყვარდა ვარდები, უყვარდა ტიტები,
ბოდლერი, ვერლენი, გალა და ტერენტი.

ცხრაასოცდაერთში, ან ცხრაასჩვიდმეტში,
ნაღდად იუნკერი, ან კიდევ კადეტი,
ოქროს სამხრეებში, ფრენჩში ან კიტელში,
მაგრამ ნიჰილისტი და ღრმა დეკადენტი.

ცხოვრება ღვინოში სამხალას ურევდა,
ჰქონდა ალერგია ყოველგვარ ყალიბზე,
თუმც აბსტრაქციონიზმს ცერად უყურებდა,
მაგრამ გიჟდებოდა სიურეალიზმზე.

რამდენი წერილი ფრანგულად, პარიზში,
ჰქონდა გაგზავნილი სალვადორ დალისთვის,
ცრემლით დაუნამავს მრავალჯერ ბალიში
მის გამო ერთ ლამაზ, უიღბლო ქალიშვილს.

იყო დათრგუნული მწარე სინამდვილით,
სულაბორგებული და გულდაწყვეტილი,
მხარით მისაყრდნობი ვერ ჰპოვა ადგილი
და ტყვიით სიცოცხლეს დაუსვა წერტილი.

ახლა შეცხადება ჩვენგან ზედმეტია,
რომ სითბოს ნატრობდა — შოლტავდნენ
წვიმები,
ბოდა, განეშორა სამყაროს კეთრიანს,
ისანას უმღერენ დღეს სერაფიმები.

---

მე ვინ ვარ, რომ ვინმე მკუა დავარიგო,
მწარე პანაშვიდებს ვიგონებ შარშანდელს
და გაოგნებული პეტრესი არ იყოს
არ ვიცი, რაში ვარ მაინც დამნაშავე.

უდროოდ დაკარგულ სიცოცხლეს მივტირი,
თუმც არც მე არ ვიცი როდის, რა მომელის,
ტყუპები არიან სიცოცხლე, სიკვდილი
და ახლა არ ვკითხოთ, ჯობია რომელი.

8.IX.88.

### „ლემი“ დროშაა — დროშა ლომების

„ლემი“ დროშაა — დროშა ლომების
დამარცხებასთან შეურიგალი,
აურაცხელი ახსოვს ომები,
და უფრო მეტი მძაფრი გრიგალი

მრავალჭირვარამგადანახადი
ვერ დაგვიფლითა ჟამთა სიავემ,
მზით ნაქსოვი და მთვარით ნაქარგი
საქართველოსთვის დღესაც ფრიალებს.

ოდეს ამ დროშას გულში ვიკრავდით
ლომების ძალას ვგრძნობდით სხეულში,
„ლემი“ ძველია ვიდრე ტიგრანი,
და მითრიდატე და პომპეუსი

სადაც გაშლილა დღეს ცხუმი ძველი,
ლურჯი ზღვაა და ოქროს ყანები,
დიდი ხნის წინათ, მრავალი წელი,
იქა ვმკვიდრობდით სწორედ სვანები.

ჩაფრენილები ცხენის ფაფარში
გულს ვიჯერებდით ზღვისპირ შენებით,
რისი ოსი და ვისი აფხაზი
სად იყო მაშინ მათი ხსენება.

გვემარჯვებოდა ფიცხელ ომებში
მახვილის ქნევა, ლახტის ცემა და
სხვადასხვა მოდგმის იმ ძველ ტომებში
ბარეორს ჩვენი ხარკი ემართა.

ერთ დროს ამ მთების გადაღმა ქალთაც
წარმართულ სვანურ სალოცავებით —
მოფენილ იყო იმგვარად მართლაც,
ვით ღამეული ცა ვარსკვლავებით.

თუ გვძლევდა, შუბზე მკერდით გვაგებდა,
არ ვუჩვენებდით მტერს ზურგს არაფრით,
ჩვენ გვაგოფებდა ომის წაგება,
და სიკვდილივით გვძულდა ღალატი.

ვით უქართებოდ, ვით უკოლხებოდ,
ვით უმესხებოდ, ვერც უსვანებოდ —
ასე ლამაზად ვერ იმზევებდა
ძველთუძველესი იბერთ სამეფო.

ბევრჯერ შეგვავდო ბედმა სასწორზე,
არ დაგვკლებია მტრისგან ავლება,
და იბერია ჩვენ არასოდეს
არ გვყვარებია სხვაზე ნაკლებად.

ჩვენი ფიცი და სიტყვა დათქმული
მუდამ კლდესავით იყო ურყევი,
ძარღვებში გვიჩქეფს სისხლი ქართული,
შეურევლი და შეურყვნელი.

დიდხანს ვიყავით ჩვენც წარმართები,
მაგრამ აენთო მთებშიც სანთლები
და ისე, როგორც ყველა ქართველი,
ჩვენც ქრისტეს რჯულზე მოვინათლეთ.

მშვიდად როგორღა მოვისვენებდით
თუ კი ხარს ომის ცეცხლი ეკიდა,
ამხედრებული ფეხმარდ ცხენებზე
მოვგრიალებდით ზვავად მთებიდან.

მწყემსსა თუ მხედარს, ბერს თუ მოლოზანს
ქვეყანა სანთლად გვენთო მზიანი
და ფრიალებდა „ლემი“ გოროზად
დროშების გვერდით გორგასლიანის.

სარწმუნოება, წესი, ადათი,
იყო ოდითგან ჩვენი საყრდენი.
ქრისტე ღმერთისთვის და წმინდანთათვის
მარადიული ვაგეთ საყდრები.

---

[illegible]

30.XI.90.

[illegible]

ტყვიით და ხიშტით კვლავ იმუქრება
მაინც აღდგება ჭეშმარიტება
და ვიზეიმებთ თავისუფლებას!



## ოდეს ბორკილებს გლეჯს და ბრძოლის ჩირაღდანს ანთებს, არ არის ქვეყნად ძალა, წინ რომ აღუდგეს ქართველს!

**ენვერ ნიჟარაძე**

[illegible]

7.VI.87.

### ბატონო შარდენ!

[illegible]

მაგრამ იმედი მაქვს, ბატონო შარდენ,
რომ მალე გასკდებით, ვით საპნის ბუშტი!

15.IX.90.

### სული უკვდავია ქართული

მზისავარ, მზისახარ, ღვთისავარ,
ჩვენ იმგვარ სალი კლდის ჯიშის ვართ
არცა დავთრგუნულვართ მტრისაგან,
არც რომმე წავხდებით შიშისგან.

სული უკვდავია ქართული,
ვერ გასტეხ რისხვით და მუქარით,
ჩვენს ქვემოთ მიწაა აღთქმული,
ჩვენს ზემოთ მარტოდენ უფალი.

17.I.90.

### აია

გავარვარებულ შუბლით
ვეყრდნობი სარკმლის მინას,
ლამეა, მთვარის შუქზე
ძველი ბაგრატი ბრწყინავს.

ათოვს აიას ზეცით
ბროლ-ბადახში და ლალი,
ვარ სილამაზით, ღვინით
და სიყვარულით მთვრალი.

წუხელ თეთრ ქვებში არლანს
სული ამოძვრა კვნესით,
ცისფერყანწელი ძმების
შესანდობარი შევსვით.

მოვიპატიჟეთ კრძალვით
(თანხმობა იყო სრული)
დიდი აკაკის ლექსი,
გალაკტიონის სული.

მინავარდობდა ბნელში
რიონი ზვირთთა ცემით,
გალმა ბუნდოვნად ჩანდა
ბავშვობის ციდა გემი.

ლამის შემიკრა სუნთქვა
მოზღვავებულმა განცდამ,
და ჩემდა უნებურად
ეს აღსარება დამცდა;

ჰოი, ხიავ, ძველო,
ზღაპრის ქალაქთა დარო,
მშვენიერების წყაროვ,
ქართა მთრთოლვარე ქნარო,

შენს გალეღილ მკერდს ვკოცნი,
შენს აღზევებას ვნატრობ,
ამ აპრილისთვის გმადლობთ,
ამ ვარდებისთვის გმადლობთ!

მამის საფლავი მანდ მაქვს,
ადრე დამჩაგრა ბედმა,
მანდ დააბიჯებს თალხში
ჩემი ბალარა დედა.

მეც მომიგონე, გვედრი,
აღარ ვიქნები ოდეს
ეს ნაფერები ლექსიც
ჩემგან ნობათად გქონდეს.

28.IV.90.

### არ მეწერება ახალი ლექსი

არ მეწერება ახალი ლექსი,
ახალ რითმების მიჭირს მიგნება,
გარეთ ქარბუქი იმგვარად კვნესის,
რომ ძაღლი კარში არ გაიგდება,

წვიმს, შემოდგომის გამძაფრდა სუნი,
ცა დაცხაულა, როგორც საცერი,
გალუმპულ ტყეში მოჭარბდა ყრუნი,
ვასწორებ ლექსებს უკვე დაწერილს.

ჩემს სამშობლოში პოეტად მგონი
ერთი ხანია უკვე ვითვლები,
ვცოცხლობ გარდასულ დღეების ხსოვნით,
ვწუხვარ, რომ დღეს ლექსს არ ჰყავს
მკითხველი.

25.XI.87.

### შენ მაინც მშვენიერი ხარ

ხალამი ფრინველთ, რომლებიც
უსამშობლოოდ ვერ ძლებენ,
დაბრუნებულან ფრთოსნები,
თავის ბუდეებს ეძებენ.

მოჭარბებულა ზურმუხტი,
კორდი, ტყეა თუ ხევია,
მწარე ფიქრებით გათანგულს,
მე არც კი შემიმჩნევია.

დღეს მივხვდი, თურმე აპრილი
მობრძანებულა, ერიბა,
ჩემო ტანჯულო ქვეყანავ,
შენ მაინც მშვენიერი ხარ.

29.IV.90.

### მოდის ტირისდენი

ნისლების აფრები,
წვიმების არფები,
დღეო აღარ თბები,
აღარ მინანქრდები.

შავი ოფორტები,
მეკნარი ო, კორდები,
მკვდარი ჰო, ფოთლები,
აღარ ოქროვდები.

რად არ ირისები,
რად არ გვირისტები,
მიდის ტირისკონი,
მოდის ტირისდენი.

31.XI.89.

### ცერებზე რომ შედგე

ლადარში ტარიებს ტკაცანი გაუდით,
ნაზირმა ბლავილით აიკლო გზაშარა,
მუქდება მინდვრების ხასხასა მაუდი,
სალამომ ბინდები ნელიად გაშალა.

სადღაა ისეთი ჰაერი აქ როა,
არც სარჩო აკლიათ განგების შეწევნით
და ვარსკვლავიანი ცა ისე ახლოა
ცერებზე რომ შედგე, ხელითაც შეწვდები.

25.VIII.87.

### ნეტავი როდის გამოიდარებს

დიდი ხანია არ გვიმღერია,
ვინლა ააწყობს აშლილ გიტარებს,
დალარულ კლდეებს უანგისფერი აქვთ
და ქორი დაფრენს მაღლით ფიტარეთს,
რა სევდიანი სექტემბერია
ნეტავი როდის გამოიდარებს?!

9.XI.88.

### თითქოს სხვა საქმე არა გვაქვს

ძველ დროს წიგნს სანთლით ვეძებდით,
დახლებზე როდი ეყარა,
დღეს ნაირნაირ წიგნებით
აივსო მთელი ქვეყანა.

მოჩქეფს და მოჩქეფს უწყვეტად
ლექსის და პროზის ღვარცოფი,
თხზავს, წერს და ბეჭდავს სუყველა
უცნობია თუ ნაცნობი.

ამას მტკიცება რად უნდა,
ეს უკვე არის აშკარა,
წაგვლეკა დაფნის გვირგვინთა
მაძიებელმა ლაშქარმა.

გადაინაცვლა კარგა ხნით
უკანა პლანზე კლასიკამ,
ოსტატო ღამეს რად ტეხავ,
ანდა თავს ტანჯვით რას იკლავ.

თითქოს სხვა საქმე არა გვაქვს,
მხოლოდ ლექსი და სტატია
დაეფინება სალხუნად
ჩვენს ჰრილობას თუ ნატყვიარს.

ყველას ერთბაშად მოუნდა
რატომღაც მერნის ჰენება,
არცა ჩანს ვინმე მშველელი,
არც ვიცით რა გვეშველება!

12.I.90.

---

## პრობლემა

# ქალაქს წყალი რომ არ მოაკლდეს

**თბილისისა** და მისი შემოგარენის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება ამ დღეებში მგრძნობლად — წამში 700 ლიტრით გაიზარდა. ეს შესაძლებელი გახდა არაგვის ხეობის მისაქციელის მონაკვეთზე წყალსადენის გაფართოებით. სასმელ წყალზე დედაქალაქის მოთხოვნა მაინც დიდია, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოხმარების ნორმით გათვალისწინებულზე ორ-სამჯერ მეტი იხარჯება. გარდა ამისა, საჭიროა ყოველწლიურად იმატოს თბილისის, დუშეთის, მცხეთის, გარდაბნისა და მათი მიმდებარე დასახლებებისა და კურორტების სასმელი წყლით მომარაგებამ არა ნაკლებ 700-800 ლიტრით წამში, თორემ დეფიციტი კიდევ უფრო გაიზრდება. ამ რეგიონის წყალმომარაგების მასაზრდოებელ წყაროებს, როგორც ცნობილია, მდინარე არაგვის წყალშემკრები აუზის სამდინარო და ყამირის წყლები წარმოადგენს. სწორედ აქ, არაგვის ხეობაშია განლაგებული წყალმომარაგების სათავე ნაგებობანი: ბულაჩაურის, ჟინვალის, მისაქციელის, საგურამოს, ნატახტრის, მუხრანის ველის წყალმიღებები. არაგვის ხეობის წყლით მარაგების გაზრდის მიზნით ხდება ბუნებრივი წყაროების გამოდინება, შენდება წყალსატევები, საინფილტრაციო აუზები. მაგრამ ბოლო წლების მანძილზე მოსახლეობის, მთელი რიგი უწყებებისა და სამინისტროების მიერ წარმოებულმა სხვადასხვა ობიექტების მშენებლობამ არაგვის ხეობის სანიტარიული დაცვის ზონაში, ზონის სათანადოდ მოვლა-პატრონობის წესების უგულებელყოფამ უახლოეს ხანებში შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სასმელი და სამეურნეო დანიშნულების წყლის ხარისხზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ არაგვის ხეობაში შექმნილი ვითარების გამო მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ქალაქ თბილისის წყალმომარაგებისა და წყალსადენის სათავე ნაგებობათა სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები. მათ შესახებ საქინფორმის კორესპონდენტი ა. გელაშვ თბილისის პრეფექტურაში ესაუბრა ემზარ ტურძელაძეს.

— დადგენილებაში, — თქვა მან, — აღნიშნულია, რომ თბილისის, დუშეთის, მცხეთის, გარდაბნის, მათი მიმდებარე დასახლებების მზარდი მოთხოვნილება სასმელ-სამეურნეო წყალზე გადაუდებლად მოითხოვს ქალაქ თბილისის წყალმომარაგების ობიექტების სიმძლავრეთა შემდგომ გაზრდას და წყალსადენის სანიტარიული დაცვის ზონის საზღვრების გაფართოებას. თბილისის პრეფექტურას დავალებული აქვს შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე შეიმუშაოს თბილისის წყალმომარაგების სანიტარიული დაცვის პირველი, მეორე და მესამე ზონების ახალი საზღვრების ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული გეგმა და სათანადო წინადადებანი წარუდგინოს რესპუბლიკის მთავრობას.

**— თუ შეიძლება განგვიმარტოთ, რას ნიშნავს სანიტარიული დაცვის ზონების გაფართოება?**

— მდინარის აქტიურ კალაპოტს ჩვენ სამ ზონად ვყოფთ: პირველი — წყალწარმომქმნელი ზონაა და ამიტომ აქ სასტიკადაა აკრძალული საწარმოო თუ სხვა დანიშნულების ობიექტების და აგარაკების მშენებლობა. სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეშმა დარღვევებმა წყალმომარაგების სანიტარიული დაცვის, განსაკუთრებით პირველ და მეორე ზონებში, შეიძლება გააუარესოს გარემო და ამით გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს წყალსადენის მასაზრდოებელ წყაროებს. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დაევალა მკაცრი კონტროლი დაუწესოს მდინარე არაგვის აუზის სანიტარიული დაცვის მდგომარეობას. რესპუბლიკის მთელმა რიგმა სამინისტროებმა და უწყებებმა უმოკლეს ვადაში უნდა განახორციელონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი არაგვის ხეობაში განლაგებული მათდამი დაქვემდებარებული ობიექტების წყალსადენის სანიტარიული დაცვის ზონებიდან გადატანისათვის. დაუყოვნებლივ აიკრძალა, მაგალითად, მცხეთისა და დუშეთის რაიონის მეურნეობებში წყალსადენის სანიტარიული დაცვის მე-2 და მე-3 ზონებში სასუქებისა და შხამქიმიკატების შეტანა. გამზრახულია აგრეთვე სანიტარიული დაცვის პირველი ზონიდან მცხეთის საკონსერვო და ღვინის ქარხნების, სასურსათო კომბინატის საკანალიზაციო სისტემის გატანა, დუშეთისა და მცხეთის რაიონებში მთელი რიგი ქვისა და ხის დამმუშავებელი, ინერტული მასალების საამქროების, ავტოსატრანსპორტო საწარმოების გაუქმება.

დადგენილებით დუშეთისა და მცხეთის რაიონების პრეფექტურებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ქმედითი ზომები მდინარე არაგვის კალაპოტში მოწყობილი თევზის ტბორების გასაუქმებლად. მათვე შემდგომში მკაცრად უნდა უზრუნველყონ სანიტარიული დაცვის ზონების მოთხოვნები მიწის ნაკვეთების გაცემის, შენებლობისა და სხვა დანიშნულების ობიექტების გახსნის შემთხვევაში, აღკვეთონ ყოველგვარი ინერტული მასალების ამოღება მდინარე არაგვის კალაპოტში.

სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრების გაფართოების ღონისძიებები გულისხმობს აგრეთვე პირველი სანიტარიული დაცვის ზონიდან მთელი რიგი ობიექტების გატანას და მე-2 და მე-3 ზონებში მოხვედრილი დასახლებების კანალიზაციით უზრუნველყოფას. ამის თაობაზე სათანადო პროგრამის შემუშავება დავალებული აქვთ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს, დუშეთისა და მცხეთის რაიონების პრეფექტურებს. ხსენებულმა სამინისტრომ უნდა განახორციელოს აგრეთვე ჟინვალ-თბილისის საკანალიზაციო კოლექტორის დათვალიერება-რევიზია, რათა მთლიანად გამორიცხოს მდინარე არაგვში ფეკალური სითხის ჩადინების ფაქტები, უზრუნველყოს აგრეთვე ჟინვალ-თბილისის საკანალიზაციო კოლექტორის რეკონსტრუქციის პროექტის დამუშავება.

**— ეს რაც შეეხება თბილისის წყალმომარაგების სანიტარიული დაცვის ზონების ახალი საზღვრების გაფართოების ღონისძიებებს. რა გაკეთდება წყალმომარაგების ობიექტების სიმძლავრეთა შემდგომი გასაზრდელად, სასმელი წყლის დეფიციტის აღსაკვეთად?**

— მიმდინარე წლის ბოლომდე დამთავრდება მისაქციელის წყალსადენის გაფართოება, საგურამოს წყალსადენში ახალი საფილტრავი ბლოკის დადგმის პირველი რიგის სამუშაოები.

დასახული ღონისძიებანი ითვალისწინებს, აგრეთვე ღრმაღელის საფილტრავი სადგურის მე-3 რიგის მშენებლობის დამთავრებას 1994 წლისათვის, მეოთხე რიგისას კი მომდევნო ორი წლის შემდეგ. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროსთან და ინსტიტუტ „თბილსჰიდროპროექტთან“ ერთად უნდა დამუშავდეს ბულაჩაურიდან თბილისის ზღვამდე მეორე წყალსატარის გაყვანის მშენებლობის დაწყების საკითხი. შესწავლას მოითხოვს მდინარე არაგვის აუზის ეკოლოგიური მდგომარეობა, რისთვისაც საჭირო თანხების გამოყოფა დაევალა საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს.

**— ჟინვალის წყალსაცავის პრობლემებზე რას გვეტყოდით?**

— ჟინვალის წყალსაცავის გარშემო ლიდი დავაა. არათუ მისი დონის დაწევას, დაცლასაც კი მოითხოვენ, იგი კი საპროექტო ნიშნულებამდე ჯერ არც ავსულა. თუ წყალსაცავში განსაზღვრული მოცულობით წყალი არ იქნა, სასმელი წყლის დეფიციტი შეექმნება არა მარტო თბილისსა და მის გარშემო დასახლებებს, არამედ თვითონ დუშეთისა და მცხეთის რაიონების მოსახლეობასაც. ამასთან ელექტროენერგიის გარკვეულ ოდენობასაც დავკარგავთ. ამიტომ, საჭიროა მიწის იმ ნაკვეთების სანაცვლოდ, რომლებიც საპროექტო მოცულობის შევსებასთან დაკავშირებით იტბორება, მოსახლეობას სხვა ფართობები გამოეყოს. უნდა გვახსოვდეს, რომ მილიონზე მეტი მოსახლეობის დედაქალაქის წყალმომარაგება დღეს სწორედ არაგვის ხეობის აუზზეა დამოკიდებული. დადგენილებაში ჟინვალის წყალსაცავის საპროექტო ნიშნულის საკითხს საგანგებო პუნქტი ეთმობა, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის სამინისტროს, ინსტიტუტ „თბილსჰიდროპროექტს“ და დუშეთის რაიონის პრეფექტურას ავალებს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების პროექტის წარდგენას.

**— რა კეთდება იმისათვის, რომ გამოინახოს სხვა წყაროები თბილისისა და დასახელებული რაიონების წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად?**

— დადგა საკითხი, რომ თბილისის წყალმომარაგებისათვის გამოვიყენოთ თრიალეთის ქედის წყაროები. ეს წყაროები თავისი ხარისხით უნიკალურია. წინასწარი მონაცემებით, აქედან შეიძლება მივიღოთ 3-4 ათასი ლიტრი წამში, რაც საკმაოდ დიდ შეღავათს მისცემდა ქალაქს. ღღის წესრიგში დასმულია თრიალეთის წყაროების ბაზაზე წყალსადენის მშენებლობის საკითხი.

— დადგენილებით ამ მშენებლობის საკითხი ევალება თბილისის პრეფექტურას, ეკონომიკისა და ფინანსთა და არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროებთან ერთად.

**საქინფორმი.**

---

## სტიქია

# საერთო ტკივილი

**დაიღუპა** ორი კაცი, 266 ჰექტარი ერთწლოვანი კულტურები, 1200 ჰექტარი სიმინდის ყანები მოისპო, დაიღუპა 20.000 ციტრუსის ხე, მწყობრიდან გამოვიდა 240 კილომეტრი გზა, დაზიანდა ან მთლიანად დაინგრა 62 ხიდი, უვარგისი გახდა 47 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზი და 35 კილომეტრი კავშირგაბმულობის ხაზი, რვა წყალსადენის სათავე ნაგებობანი და 50 კილომეტრი წყალსადენი მილი, დაიღუპა 170 სული პირუტყვი, დაიტბორა 500 საკარმიდამო ნაკვეთი, დაინგრა 30-მდე საცხოვრებელი სახლი, მწყობრიდან გამოვიდა მრავალი სახალხო-სამეურნეო ობიექტი, გაფუჭდა 200 ტონა მზა ჩაის პროდუქცია, ზარალის სავარაუდო თანხაა 130 — 150 მილიონი მანეთი.

ეს მონაცემები გააცნო აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო საგანგებო შტაბის სხდომის მონაწილეებს ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გურამ ვარშალომიძემ.

ყველა წამოჭრილი საკითხი ოპერატიულად უნდა გადაიჭრას, მაგრამ აღინიშნა სხდომაზე, მაინც უნდა იყოს რიგითობა. უნდა განვსაზღვროთ; რა უნდა გაკეთდეს უწინარესად.

დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ჩაქვის პურკომბინატისა და ქობულეთის პურის ქარხნის აღდგენა. ასე რომ, უახლოეს ხანს ქობულეთის რაიონი უზრუნველყოფილი იქნება საკუთარი პურით.

სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის მინისტრი გურამ მირიანაშვილი. კონცერნ „საქავტოგზის“ თავმჯდომარე ბორის სარალიძე.

სხდომის შედეგები შეაჯამა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ასლან აბაშიძემ. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ამ მძიმე ჟამს განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა აჭარისადმი. თბილისიდან ხელმძღვანელი მუშაკების, თვალსაჩინო სპეციალისტების ჩამოსვლა, საჭირო ღონისძიებათა შემუშავება და მათი საერთო ძალით განხორციელება იმის საწინდარია, რომ სტიქიის შედეგები აუცილებლად ლიკვიდირებული იქნება. ყველაზე მთავარია, თქვა ბატონმა ა. აბაშიძემ, რომ ადამიანებმა იგრძნონ ჩვენი მხარდაჭერა, რომ მათ იცოდნენ — ისინი არ მიუტოვებიათ უბედურებაში.

**თამაზ გენძეხაძე,**
საქინფორმის კორ.

---

## თანადგომა

# კაცი კაცითა...

**არ** ცხრება საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიწისძვრით დაზარალებული რაიონების დახმარების ალმოჩენის მსურველთა ნაკადი. ეს კეთილშობილური საქმიანობა ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის კომიტეტის მეშვეობით. აი, რა უამბეს ამ ორგანიზაციის მესვეურებმა საქინფორმის კორესპონდენტს.

— მხოლოდ ამ სამიოდე დღის მანძილზე დაზარალებულ რაიონებს შესამჩნევი დახმარება აღმოვუჩინეთ. 515 კარავი გაეგზავნა გორის რაიონს, 15 კარავი — ცხინვალისას. ამავე რაიონებში ჩატანილია 10 ყუთი მედიკამენტები საფრანგეთიდან, 5 ყუთი ისრაელიდან, 14 ყუთი ჰოლანდიიდან, 12 ყუთი ტანსაცმელი პოლონეთიდან, 500 ცალი ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებული თბილი საბანი.

10 ყუთი ჰოლანდიური მედიკამენტები, ექვსი ყუთი პოლონური ტანსაცმელი გადაეცა ონის რაიონს, ასეთივე რაოდენობა წამლებისა და ტანსაცმლისა ამავე ქვეყნებიდან გაეგზავნათ ამბროლაურის რაიონის მშრომელებს. 24 ყუთი მედიკამენტები და 6 ყუთი პოლონეთიდან მიღებული ტანსაცმელი ჩატანილია საჩხერის რაიონში.

კაცი — კაცითაო, უთქვამს ქართველ კაცს. მომმეთა დასახმარებლად გამოწვდილი ხელი სტიქიისაგან დაზარალებულთა რწმენას განუმტკიცებს, რომ მათ გვერდზე დგას მთელი საქართველო, მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები.

დაზარალებულთა მედიკამენტებით, საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლით და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნებით დასაკმაყოფილებლად მუშაობა გრძელდება.

**საქინფორმი.**

# სომხური ფონდი — საქართველოს

**საქართველოს** თავს დამტყდარმა ახალმა უბედურებამ სომხეთის მშრომელებისა და მათი საზღვარგარეთელი თანამემამულეების ფართო გამოხმაურება გამოიწვია. სომხეთის გაერთიანებულმა საქველმოქმედო ფონდმა ერევნის გავლით თვითმფრინავი გამოგზავნა დაზარალებულთა დასახმარებლად. მან ჩამოიტანა ასი ათას დოლარზე მეტი ღირებულების მედიკამენტები, პირველი საჭიროების საგნები. ამ ფონდის დირექტორმა არუთინ სასუნიანმა, რომელიც ჩამოჰყვა ტვირთს, გამოთქვა იმედი, რომ ჰუმანური აქტი ხელს შეუწყობს ორი რესპუბლიკის თანამშრომლობის განვითარებას.

**არმენპრეს-საქინფორმი.**

# რას აძლევს ნარდი ქართველ კაცს

**ცოტა** ხნის წინ გერმანიის ქალაქ შტუტგარდში გაიმართა უმაღლესი კატეგორიის მონარდეთა საერთაშორისო ტურნირი „ბადენის მიწის თასის" გათამაშება, რომელშიც დაახლოებით ასი სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ტურნირი ოლიმპიური სისტემით გათამაშდა. მასში საქართველოს ორი დამოუკიდებელი ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. პირველ ნაკრებში შევიდნენ მიხეილ სურგულაძე, ემზარ ლაითაძე და ნუგზარ სიკინჭილაშვილი. მეორე ნაკრების ღირსებას იცავდნენ მერაბ გოჩეჩილაძე, რევაზ სოხაძე, ვალერიან თორელი და ბიძინა კიკნაძე.

საქართველოს პირველი ნაკრები შტუტგარდის ტურნირში სუსტად გამოვიდა. მე-2 ნაკრების წევრმა ვალერიან თორელმა წარმატებით განვლო შეჯიბრების სამი წრე, დაიმსახურა მაყურებელთა სიმპატიები, გავიდა რვა უძლიერეს მონარდეს შორის და შემდეგ გამოეთიშა ბრძოლას, ხოლო ასევე მე-2 ნაკრების წევრმა ბიძინა კიკნაძემ გაიარა შეჯიბრების ხუთი წრე, გავიდა ფინალში, სადაც დამარცხდა პოლონური წარმოშობის გერმანელ სპორტსმენთან.

ბიძინა კიკნაძემ საბოლოოდ „ბადენის მიწის თასის" გათამაშებაში დაიკავა მე-2 ადგილი.

ამის შემდგომ ბიძინა კიკნაძემ მონაწილეობა მიიღო ვენის საერთაშორისო ტურნირში. მას სპონსორობა გაუწია თბილისელთათვის კარგად ცნობილი ავსტრიული ფირმის ABV-ს პრეზიდენტმა ლეოპოლდ ბაუსბეკმა და მისმა მეუღლემ მერი ბაუსბეკმა. ბიძინა კიკნაძემ წარმატებით განვლო ვენის საერთაშორისო ტურნირის ორი წრე, მოხვდა 16 უძლიერეს მონარდეთა რიგებში და შემდეგ დამარცხდა.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ **ბიძინა კიკნაძეს** შეხვდა ჩვენი გაზეთის თანამშრომელი **ზურაბ ხიხარულიძე** და რამდენიმე კითხვით მიმართა:

**— ბატონო ბიძინა! ქართველ საზოგადოებას აინტერესებს, თუ როგორ გახვედით ნარდის საერთაშორისო ასპარეზზე და როგორ მიიღეთ მონაწილეობა ამ ტურნირებში?**

— საქართველოში უკვე რამდენიმე წელია არსებობს კომერციული ფირმა „ვესტა", ბერძნული მითოლოგიით „ვესტა" არის ოჯახის ფუძის, კერის სიმბოლო. „ვესტას" ერთ-ერთი მთავარი მიზანია საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის მსოფლიო დონეზე აყვანა. ჩვენს წარმომადგენლებს ხშირი კონტაქტები აქვთ დასავლეთთან და ერთ-ერთი საქმიანი მოგზაურობის დროს ისინი დასავლეთ ბერლინში „წააწყდნენ" „ბეგემონ კლუბს" (ნარდის კლუბს), დაინტერესდნენ მისი საქმიანობით და გადაწყვიტეს, რომ საქართველოში ნარდის ეროვნული ფედერაცია შეექმნათ. ამ მიზნით 1990 წლის აპრილში „ვესტას" თაოსნობით თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველი ეროვნული ჩემპიონატი სპორტულ ნარდში. მისი ვიდეოჩანაწერი ბატონ მიხეილ სურგულაძის მიერ წარდგენილი იქნა იტალიაში ჩატარებული სპორტული ნარდის მსოფლიო კონგრესზე, რომელმაც საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია მიიღო თავის სრულუფლებიან 32-ე წევრად. აღსანიშნავია, რომ ამ კონგრესზე 33-ე წევრად მიიღეს ისრაელი, ხოლო თურქეთს დამაჯერებელი საბუთების უქონლობის გამო უარი უთხრეს. ეს იყო 1990 წლის ოქტომბერი. ამის შემდეგ საქართველოს ნარდის ეროვნულ ფედერაციას გზა ხსნილი ჰქონდა.

**— ბატონო ბიძინა! თქვენ ბრძანდებით ნარდის ეროვნული ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი. საინტერესოა, დღემდე რა ტურნირების ჩატარება მოასწრეთ და მომავლისათვის როგორი გეგმები გაქვთ?**

— პირველ ტურნირზე უკვე მოგახსენეთ. 1990 წლის დეკემბერში თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის ღია პირველობა საზღვარგარეთის თერთმეტი ქვეყნის წარმომადგენლების მონაწილეობით. 1991 წლის იანვარში მოვაწყეთ „ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშება, მას მოჰყვა „იმერეთის თასის" გათამაშება. ბაკურიანში მოვაწყეთ „თოვლის თასის" გათამაშება. 1991 წლის მარტში ქუთაისში მოეწყო საქართველოს მე-2 ეროვნული ჩემპიონატი. შემდეგ გათამაშდა „იმერეთის თასი", 1991 წლის მაისში თბილისში მოეწყო ქალაქის ღია პირველობა, იმავე თვეს ქობულეთის ღია პირველობა, ივნისში გათამაშდა „ვესტას" თასი. ამჟამად საქართველოს ნაკრები ემზადება მონტე-კარლოს „მსოფლიო თასის" გათამაშებისათვის. სექტემბერში ქობულეთში გაიმართება „მსოფლიო თასის" გათამაშება, პარალელურად მოეწყობა ტურნირი „ჯორჯია ინთერნეშენლი", სადაც მსოფლიოს უძლიერესი მონარდეები მიიღებენ მონაწილეობას.

**— თქვენ ახლა სერიოზულ მოწინააღმდეგეებთან გიწევთ შეხვედრები. მიუხედავად ამისა, მოკლე დროის განმავლობაში საქართველოს მონარდეებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.**

— ქართველ კაცს ნარდის თამაში ბუნებაში აქვს, ნარდი მოხსენიებულია „ამირანდარეჯანიანში", „ვეფხისტყაოსანში", საბას ნაწარმოებებში. ჩვენ წლების განმავლობაში ოჯახებში ვთამაშობდით აღმოსავლურ ნარდს, რომელიც განსხვავდება მსოფლიოს სტანდარტის ნარდის წესებისაგან. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ქართველი კაცი თავისი ალღოთი და შინაგანი ინტუიციით წინააღმდეგობას უწევს და ხშირ შემთხვევაში გამარჯვებული გამოდის მსოფლიოს უძლიერეს მონარდეებთან პაექრობაში?

**— რა განსხვავებაა ჩვენში მიღებულ წესებსა და საერთაშორისო წესებს შორის?**

— უპირველეს ყოვლისა, თამაშის დაწყების წესი. საერთაშორისო ასპარეზზე მოწინააღმდეგენი თამაშობენ 2-2 კამათლით, ე. ი. ყველას კუთვნილი კამათელი აქვს, რომელსაც კენჭისყრით ირჩევენ. გაგორება ხდება ჭიქებით. გორდება თითო კამათელი და თამაშს იწყებს ის სპორტსმენი, რომელმაც მეტი გააგორა და თამაშდება დაფაზე გაგორებული ქვები. მაგალითად, დაფაზე გაგორდა 5 და 3. თამაშს იწყებს ხუთიანი და თამაშობს მოწინააღმდეგის სამიანსაც. საერთაშორისო წესებით მიღებულია საკუთარ კარში ქვის მოკვლა — გადათამაშება, დამალვა — გამოსვლა, დაბურვა, რამაც საფუძვლიანად შეცვალა ჩვენში მიღებული ნარდის სტრატეგია და ტაქტიკა, არის სხვა მნიშვნელოვანი განსხვავებანიც.

**— ბატონო ბიძინა! საზღვარგარეთელი ნარდის ოსტატები საფუძვლიან თეორიულ მომზადებას გადიან. ჰყავთ ნარდის თეორეტიკოსები, აქვთ სახელმძღვანელოები, კომპიუტერული პროგრამები. ჩვენში კი ეს საკითხი, რა დასამალია, ჯერჯერობით საწყის სტადიაშია. როგორ აპირებთ ამ ხარვეზების გამოსწორებას?**

— მართლაც ბრძანდებით. საზღვარგარეთ ნარდის თამაში აყვანილია უმაღლეს დონეზე. მას უყურებენ როგორც სპორტის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ სახეობას. გამოდის სპეციალური ლიტერატურა, სადაც გარჩეულია ყველა უძლიერესი შეჯიბრების საუკეთესო პარტიები. ნარდის გამოჩენილ თეორეტიკოსთა ნაშრომები დიდი პოპულარობით სარგებლობს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ევროპის ნარდის ფედერაციის თავმჯდომარის ალფრედ შვარცის შრომები. ახლახან ალფრედ შვარცმა საინსპექციო მოგზაურობა მოაწყო ქობულეთში, ბათუმში და ფოთში. უდიდესი წარმატება აქვს ამერიკელი ბილი რობერტსის ნარდის კომპიუტერულ — სისტემებს. არის ნარდის სპეციალური ჟურნალები, გაზეთები, იმართება შეხვედრები, კონფერენციები, როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში.

ამჟამად ნარდის ქართველი მოყვარულთათვის გადათარგმნილია და ბეჭდვის პროცესშია ალფრედ შვარცის ფუნდამენტალური ნაშრომი, ნარდის ტაქტიკაზე და სტრატეგიაზე ჩვენ ვაპირებთ ნარდის სპეციალური გაზეთის გამოშვებას ქართულ ენაზე, სადაც გარჩეული იქნება მსოფლიოს უძლიერეს მონარდეთა პარტიები.

**— ბატონო ბიძინა! დასასრულს მინდა გკითხოთ, თუ რას აძლევს ნარდი ქართველ კაცს?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია ერთ-ერთი პირველი დამოუკიდებელი ფედერაციაა, რომელიც მსოფლიოს ასპარეზზე გავიდა და მონაწილეობს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ეგიდით და დროშის ქვეშ. 1990 წლის დეკემბრის თბილისის საერთაშორისო ტურნირმა დაგვაახლოვა, რაც შემდგომ მეგობრობაში გადაიზარდა მსოფლიოს გამოჩენილ მონარდეებთან. ისინი მეტწილ შემთხვევაში თავისი ძირითადი სპეციალობების მიხედვით არიან გამოჩენილი ბიზნესმენები და პოლიტიკური მოღვაწეები. მაგალითად, გამოჩენილი ბიზნესმენი და მონარდე ბარონი და ბარონესა პაულეიტერი და მრავალი სხვა. მათ გამოამჟღავნეს დიდი დაინტერესება საქართველოს მომავლით, მისი დამოუკიდებლობით. თბილისის დეკემბრის ტურნირის პერიოდში საფუძველი ჩაეყარა ამ საქმიან კონტრაქტს. ქობულეთის მომავალ ტურნირზე, რომელიც სექტემბერში გაიმართება, ჩამოსვლას აპირებს უამრავი სპორტსმენი და ბიზნესმენი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოს ბედით და სურვილი აქვთ ითანამშრომლონ საქმიან წრეებთან, მისი მომავლის საკეთილდღეოდ.

1990 წლის 22 დეკემბერს გერმანიის ქალაქ მიუნხენში ჩატარდა ნარდის მსოფლიო ფედერაციის წლის შემაჯამებელი ყრილობა, სადაც განხილულ იქნა 1990 წელს ჩატარებული ყველა ტურნირი. საქართველოს ნარდის ეროვნულმა ფედერაციამ ყრილობის შემდეგ მიიღო ტელექსი, სადაც თბილისის დეკემბრის საერთაშორისო ტურნირი აღიარებული იქნა წლის საუკეთესო ტურნირად. ამასთან ერთად ყრილობის მონაწილეებმა მოგვილოცეს შობა დღესასწაული და საქართველოს დამოუკიდებლობა.

# სპორტული ტელეტაიპი

**თბილისში** გაიმართა საქართველოს წყალბურთელთა ჩემპიონატის გადამწყვეტი შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობს რესპუბლიკის დედაქალაქის ოთხი უძლიერესი გუნდი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებმა (უფროსი მწვრთნელი იოსებ მაისურაძე) გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 11:8 დაამარცხეს დინამოელები და ჩემპიონის წოდება მოიპოვეს. „დინამომ", რომელსაც უფროსი მწვრთნელი გიორგი ზუმბულიძე ხელმძღვანელობს, მეორე ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს პრიზიორი გახდა „მართვე" (უფროსი მწვრთნელი გურამ ნამგალაური), რომელმაც ერთი ბურთის უპირატესობით — 15:14 — მოუგო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კოლექტივს (მთავარი მწვრთნელი სიმონ ფირუმოვი).

• • •

თბილისელი იური მიტუხონი გახდა თანამედროვე ხუთჭიდში ბელორუსიის ღია ჩემპიონატის მოცურავეთა ასპარეზობების ბრინჯაოს პრიზიორი. იგი შედიოდა საქართველოს სპორტსაზოგადოება „შევარდენის" გუნდში, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა რვა მოასპარეზე კოლექტივს შორის.

• • •

დასრულდა თბილისის პირველობა ჭადრაკში ვეტერანთა შორის. 27 სპორტსმენმა, რომელთა ასაკი 50 წელს აღემატებოდა, შვეიცარიული სისტემით გაითამაშა ჯილდოები.

11 შესაძლებლობიდან 9,5 ქულით გაიმარჯვა ამირან ჩხაიძემ. [illegible]

• • •

[illegible]

რომელიც ამიერიდან გუნდის უფროსი იქნება. მისი ადგილი კი დაიკავა რევაზ ძოძუაშვილმა, რომელიც აქამდე „იბერიის" მწვრთნელად მუშაობდა.

გუნდის ყოფილი უფროსი ვლადიმერ გუცაევი გაემგზავრება კვიპროსში, სადაც ავარჯიშებს ერთ-ერთ კლუბს. მასთან ერთად მიემგზავრება თემურ ქეცბაიაც — ამ ქვეყანაში კონტრაქტით გამოსვლისათვის.

• • •

თურქეთიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელი ქალები, რომლებიც მონაწილეობდნენ სტამბოლის ბოსფორის უნივერსიტეტში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო სპორტულ ფესტივალში.

ამჯერად ასპარეზობაში მონაწილეობდა უნივერსიტეტების 13 გუნდი — ოქსფორდის, ლიონის, ჩიკაგოს, ფილადელფიის, ვენის, ვარშავის, სარაევოს, ვარნის, თბილისის თითო გუნდი და ოთხი გუნდი სტამბოლიდან.

ჩვენი გოგონები, რომლებმაც დამაჯერებლად გაიმარჯვეს ყველა წინასწარ შეხვედრაში, ფინალში შეხვდნენ სტამბოლის უნივერსიტეტის კალათბურთელებს, თამაში ძალზე დაძაბული იყო, და მხოლოდ ერთქულიანმა უპირატესობამ გამარჯვება ქართველ სპორტსმენებს მოუტანა — 72:71. გამარჯვებულ გუნდს ხელმძღვანელობდა მწვრთნელი ლეონიდ ძეკონსკი.

• • •

წყალტუბოში დასრულდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი. მისმა ახალგაზრდა მონაწილეებმა, როგორც სპეციალისტებმა შეაფასეს, საკმაოდ დიდი ოსტატობა უჩვენეს. ჩემპიონატში მონაწილეობდა 12 სპორტსმენი, მაგრამ შემდეგ ერთ-ერთმა ლიდერმა — თბილისელმა მოჭადრაკემ თეა ლანჩავამ ავადმყოფობის გამო შეწყვიტა გამოსვლა.

საპრიზო ადგილების ბედი გადაწყდა უკანასკნელ, მე-12 ტურში, რომლისთვისაც თბილისელ ინგა ხურცილავასა და უფრო გამოცდილ გორელ ციალა ქასოშვილს 8,5 — 8,5 ქულა ჰქონდათ. ხურცილავამ დამაჯერებლად მოუგო ქუთაისელ ნათია აფხაიძეს, ქასოშვილმა კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა სამტრედიელ სოფიკო ტერელაძესთან, რომელიც მას ერთი ქულით ჩამორჩებოდა.

ამრიგად, საქართველოს ჩემპიონი გახდა ხურცილავა (9,5 ქულა). მეორე ადგილზე 9 ქულით გავიდა ქასოშვილი, მესამეზე — 8 ქულით — ტერელაძე.

**საქინფორმი**

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი [illegible]

[illegible]



# გიწვევთ სასწავლებლად

## საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს თბილისის № 51 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის.

[illegible]

## საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროს ქუთაისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**დღის სწავლების განყოფილება საშუალო განათლების ბაზაზე**

1. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება
2. კვების წარმოების მოწყობილობების ექსპლოატაცია და რემონტი
3. სამანქანათმშენებლო წარმოების მოწყობილობების ექსპლოატაცია და რემონტი
4. საწარმოებისა და სამოქალაქო ნაგებობათა ელექტრომოწყობილობის მონტაჟი და ექსპლოატაცია
5. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის წარმოება
6. ხე-ტყის დამზადება და მერქნის ტრანსპორტი
7. ხის დამუშავების ტექნოლოგია

**დაუსწრებელი სწავლების განყოფილება**

**საშუალო განათლების ბაზაზე**

1. კვების წარმოების მოწყობილობების ექსპლოატაცია და რემონტი
2. სამანქანათმშენებლო წარმოების მოწყობილობების ექსპლოატაცია და რემონტი
3. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის წარმოება
4. ხის დამუშავების ტექნოლოგია

**საღამოს სწავლების განყოფილება**

**საშუალო განათლების ბაზაზე**

ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის წარმოება.

ტექნიკუმში სასწავლებლად მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ორივე სქესის მოქალაქენი.

განცხადებები მიიღება: დღის განყოფილებაზე — 31 ივლისამდე. საღამოს განყოფილებაზე — 15 სექტემბრამდე. დაუსწრებელ განყოფილებაზე — 10 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება თანდართული ნიმუშით
2. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი)
3. სამედიცინო ცნობა, ფორმა № 086/უ
4. 6 ფოტოსურათი ზომით 3X4
5. ამონაწერი შრომის ან კოლმეურნის წიგნაკიდან (პრაქტიკული სტაჟის მქონე და საღამოს ან დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელი, აგრეთვე წარმოადგენენ პასპორტს)

ტექნიკუმში შემსვლელნი აბარებენ ორ მისაღებ გამოცდას:

1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერით, თხზულების ფორმით)
2. მათემატიკა (ზეპირი) ან ქიმია (ზეპირი)

ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებზე შემსვლელნი აბარებენ მათემატიკა (ზეპირი). გამონაკლისს წარმოადგენს „გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების" სპეციალობა, რომელზედაც ბარდება საგანი ქიმია (ზეპირი).

სწავლების ვადაა: დღის სწავლების განყოფილებაზე 2 წელი და 10 თვე, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე 3 წლამდე.

შენიშვნა: **ტექნიკუმში ჩარიცხულებს სტიპენდია ეძლევათ საერთო წესის მიხედვით. შემსვლელებს დაწვრილებითი ცნობების მიღება შეუძლიათ ტექნიკუმში.**

**ტექნიკუმის მისამართი: ჯავახიშვილის ქუჩა № 5.**

**ტელეფონები: 6-19-17, 6-17-78, 6-19-61.**

## თბილისის მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის

**ახალგაზრდებო!**

თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მქონე ინჟინერ-ტექნიკოსთა გარდა, აუცილებლად ესაჭიროება სხვა კატეგორიის უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტთა კადრები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირეული გარდაქმნა და დამოუკიდებლად გასვლა საერთაშორისო ბაზარზე.

ჩვენი სასწავლებელი მზადაა აღმოგიჩინოთ დახმარება და გთავაზობთ 10 თვის მანძილზე დაეუფლოთ შემდეგ სპეციალობებს:

1. ელექტროშემდუღებელი
2. ზეინკალ-ელ-მემონტაჟე
3. ზეინკალ სანტექნიკოსი-აირშემდუღებელი
4. ავტომატური კონტროლის რეგულირებისა და მართვის ხელსაწყოების აპარატურის მემონტაჟე
5. ზეინკალ-ავტომემკეთებელი
6. რადიოაპარატურისა და ხელსაწყოების მარეგულირებელი
7. არასასურსათო საქონლის მოლარე კონტროლიორი
8. მეყვავილე-კონტროლიორი
9. მხაზველი

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების და 9-კლასდამთავრებული ორივე სქესის ახალგაზრდები.

რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები მიიღებიან მხოლოდ წარმოება-დაწესებულებებისა და საკრებულოების მომართვის საფუძველზე.

სწავლის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია კომპენსაციით 70 მანეთის ოდენობით და სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50%.

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით.

1. საშუალო განათლების ატესტატი (დედანი)
2. დაბადების მოწმობა (დედანი)
3. სამედიცინო ცნობა ფორმა № 286
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
5. დახასიათება
6. ავტობიოგრაფია
7. 6 ც. ფოტოსურათი (3X4)
8. პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა წარმოდგენილ უნდა იქნეს პირადად.

**სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბერს**

**სასწავლებლის მისამართია: თბილისი მაჩაბლისხ... № 2-ა მეტრო დიდუბის მიმდებარე ტერიტორია.**

**ტელეფონები: 34-72-59, 34-71-29, 34-79-48.**

**დირექცია**

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

**დავით** აღმაშენებლის სახელობის თბილისის კომერციული საინჟინრო-ეკონომიკური ინსტიტუტი აბიტურიენტებისა და იმ საწარმოთა ხელმძღვანელების საყურადღებოდ, რომლებსაც განზრახული აქვთ დაკვეთის წესით მოავლინონ აბიტურიენტები, აცხადებს, რომ 5 ივლისს ინსტიტუტში გამართულ „ღია კარის" მონაწილე აბიტურიენტთა და მშობელთა თხოვნით, ასევე საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ უმაღლეს სასწავლებლებში საბუთების მიღების, აგრეთვე გამოცდების (გასაუბრების) ერთდროულად ჩატარების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით მიმღებმა კომისიამ გადაწყვიტა:

— აბიტურიენტთა საბუთების მიღება შეწყდეს ა. წ. 18 ივლისს;

— აბიტურიენტებთან წერითი და ზეპირი გასაუბრება ჩატარდეს ა. წ. 22 ივლისიდან 28 ივლისამდე;

— აბიტურიენტთა სტუდენტად ჩარიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოები დამთავრდეს 31 ივლისამდე და ჩარიცხულთა სია გამოქვეყნდეს 1 აგვისტოს;

რექტორატის გადაწყვეტილებით ინსტიტუტში სწავლა დაიწყება ა. წ. 1 ოქტომბერს, ინსტიტუტისათვის საჭირო ტექნიკური ბაზით აღჭურვილ შენობაში.

მისამართი: ჯიქიას ქ. № 3.

**რექტორატი**

## საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

**დღის სწავლება**

[illegible]

**დაუსწრებელი სწავლება**

1. გადაზიდვების ორგანიზაცია და მოძრაობის მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე,
2. სოფლის მეურნეობის მექანიზაცია,
3. საქონელმცოდნეობა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და გასაღების ორგანიზაცია.

ტექნიკუმში შემსვლელნი როგორც დასწრებულ, ისე დაუსწრებელ სწავლებაზე მისაღებ გამოცდებს აბარებენ:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა თხზულება)
2. მათემატიკაში (ზეპირი).

ტექნიკუმში შემსვლელები მიღების შესახებ განცხადებას თან დაურთავენ: საშუალო განათლების დოკუმენტის დედანს, სამედიცინო ცნობას (ფორმა № 086), ოთხ ფოტოსურათს (ზომა, 3X4), ამონაწერს შრომის ან კოლმეურნეობის წიგნაკიდან (პრაქტიკული სტაჟის მქონენი და დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელნი), აგრეთვე წარმოადგენენ პასპორტს (დაბადების მოწმობას), საქართველოს რესპუბლიკის წვევამდელის მიწერის მოწმობას ან სამხედრო ბილეთს.

მისაღებ გამოცდებზე დადებითი შეფასების მიღებისას კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან ობლები და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, აგრეთვე მიწისძვრის რაიონებიდან დაზარალებულნი.

საბუთები მიიღება მიმდინარე წლის 2 აგვისტომდე 9-დან 6 საათამდე კვირა დღის გარდა.

გამოცდები 14 აგვისტოდან დაიწყება.

**დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი № 2 ტელ. 32-72.**

**საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექცია**

[illegible]

## საქართველოს რესპუბლიკის შსს სახანძრო დაცვის სამმართველო

[illegible] ლებას თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმისა და სახანძრო დაცვის სასწავლო ცენტრის ბაზაზე შექმნილ სასწავლებელში. **ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ტექნიკისა და ორგანიზაციის სპეციალობით** დღის განყოფილებაზე.

სასწავლებელში მიიღებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ საშუალო განათლება, მოხდილი აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახური, აქვთ დადებითი დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან (სასწავლებლიდან), ექნებათ საექიმო კომისიის დასკვნა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ ვარგისიანობის შესახებ.

სასწავლებელში შემსვლელები [illegible] მდეგ საგნებში:

მათემატიკა (წერა) — საშუალო სკოლის პროგრამით

ქართული ენა და ლიტერატურა — საშუალო სკოლის პროგრამით

ფიზიკური მომზადება.

სასწავლებელში ჩარიცხვა მოხდება შემსვლელთა მიერ მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა საერთო რაოდენობის მიხედვით — კონკურსის მეთოდით.

სწავლების ვადა 2 წელია.

სასწავლებელში ჩარიცხულნი ერთდროულად დაინიშნებიან მეხანძრის თანამდებობაზე და მიეცემათ ხელფასი — 230 მანეთის ოდენობით, ასევე უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო კვებით, ტანსაცმლითა და ბინით.

სასწავლებელდამთავრებულნი [illegible] ბებზე, მიენიჭებათ წოდება „შინაგანი სამსახურის ლეიტენანტი" და უზრუნველყოფილნი იქნებიან სამსახურით რესპუბლიკის სახანძრო დაცვის ორგანოებში.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 15-დან 21 აგვისტომდე, ჩარიცხვა 25 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

საბუთების წარმოდგენის ვადა ა/წ 31 ივლისამდე.

**ცნობებისათვის მიმართეთ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაკის რ-ნი, ჭავჭავაძის გამზირი, 34 ან გლდანის რაიონი, ქერჩის ქ. № 8. ტელეფონები: 22-68-18; 22-02-40; 62-18-46; 62-89-72.**

**საქართველოს რესპუბლიკის შსს სახანძრო დაცვის სამმართველო**

## „საქართველოს წიაღისეული — რეალობა და პერსპექტივები"

**საწარმოო** გაერთიანება „საქგეოლოგია" გამოსაცემად ამზადებს ნაშრომს — „საქართველოს წიაღისეული — რეალობა და პერსპექტივები", რომელშიც კომპაქტურად და ამავე დროს მაქსიმალური სიზუსტით, ასახულია არა მარტო გეოლოგიური ინფორმაცია რესპუბლიკაში დადასტურებულ ყველა საბადო-გამოვლინებათა და წიაღისეულის ცალკეულ სახეობათა შესახებ, არამედ ტექნოლოგიური და ეკონომიკური მონაცემებიც (მარაგების ოდენობა, უზრუნველყოფის პერიოდი, რესპუბლიკიდან გატანისა და შემოტანის სადღეისო სურათი, ზოგი მონაცემი საკავშირო და საერთაშორისო ფასებზე და ა. შ.). გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია მოსაზრებები გეოლოგიურ სამუშაოთა დასაბუთების ახლებურ შეფასებაზე, მათი წარმართვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, დაგეგმვისა და დაფინანსების ახლებურ სისტემაზე და სხვა. წიგნი მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს წარმოებებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, ხელისუფლების ყველა დონის ორგანოებს, კოოპერატივებსა და სპეციალისტთა ფართო წრეს — ყველას, ვისი საქმიანობაც დაკავშირებულია წიაღისეულის ძებნასთან, მოპოვებასთან, გადამუშავებასა და გასაღებასთან.

წინასწარი განაცხადი საჭირო რაოდენობის ჩვენებით გთხოვთ მოგვაწოდოთ მისამართზე: **380080 თბილისი, მოსაშვილის ქ. № 24, ს/გ „საქგეოლოგია".**

## ყურადღება!

**სამედიცინო** აღდგენით ცენტრ „ჰარმონიაში" **განახლდა** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვან დაავადებათა მკურნალობა ძველი ნეპალური მეთოდით. ამ მეთოდით მკურნალობის დროს გამოიყენება ფუტკრის შხამი, ფუტკრის რძე, ფუტკრის მტვერი, დინდგელი, ქაცვის ზეთი, თევზის ქონის ექსტრაქტი და სხვა ბიოლოგიურად აქტიური მცენარეული ეთერზეთები. მკურნალობის ხანგრძლივობა 24 დღეა, აქვე წარმატებით მკურნალობენ თირკმლისა და ღვიძლის პათოლოგიებს, ტიბეტური მეთოდით პიელონეფრიტს, პოლიმერულ ნეფრიტს, ქრონიკულ ჰეპატიტს, ქოლეცისტიტს და სხვა. მკურნალობას ხელმძღვანელობს ექიმი ვანო გულედანი.

**მისამართი: გამსახურდიას 10, რკინიგზის II პოლიკლინიკა 86-01-71.**

**მიღება ყოველდღე 4 და 7 საათამდე გარდა შაბათ-კვირისა.**

## განცხადება

**სახალხო** მოხმარების საქონლის მწარმოებელ კოოპერატივს ესაჭიროება მკერავები. ყოველთვიური გამომუშავება 800-1200 მანეთია.

მსურველებს გთხოვთ მოგვაკითხოთ შემდეგ მისამართზე: კომკავშირის ქ. № 22. ზუთი დეკემბრის პარალელურ ქუჩაზე № 95 პროფტექსასწავლებლის შენობაში.

**კოოპერატივის გამგეობა.**

## მხატვართა საყურადღებოდ!

**ეროვნული** ბიბლიოთეკის კულტურული ცენტრის გალერეა „ზოდიაქი" აცხადებს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების მიღებას და შესყიდვას. ნამუშევრების დიდი მხარე სასურველია იყოს ერთ მეტრამდე.

ნამუშევრების მიღება ხდება ყოველდღე 12 საათიდან 4 საათამდე 25 ივლისამდე.

მისამართი: **კეცხოველის ქ. № 6, ეროვნული ბიბლიოთეკა, II სართული. ტელეფონი: 98-86-92.**

ნამუშევრები გროვდება მომავალი გამოფენების მოსაწყობად.

**გალერეა „ზოდიაქი"**